# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 მაისი, 2010 წელი.

№91 (6457)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ხაბაზმა რომ პური გამოაცხოს, კანონები კი ჭეშმარიტმა პოლიტიკოსმა შექმნას, მართლაც აჯობებდა!



2

## ინგა გრიგოლიამ ბათუმის თეატრში შეანათა თუ არა, დარბაზში შუქი გაითიშა

5

## ვიკინგები ქართულად უმღერიან მზეს

9

## პოეტი რომ ნატრობდა: კაცი მომცა, ლონდებოდეს, ქვეყნის სატკივარი სჭირდესო, სწორედ ასეთი კაცი – პროფესორი თამაზ შილაკაძე ესაუბრება ჩვენს მკითხველს ე. წ. „აბრეშუმის გზაზე“

7

## გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა,

2

### ანუ თორთლაძე ჩამოფრინდა, დავითაია გაფრინდა...



## ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში საგანგაშო ხასიათს იძენს!..

6

პოლიტიკური პატიმარი აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია ციხიდან ევროკავშირის ხელმძღვანელობას მიმართავს



ხმა ევროპის გასაგონად?

## გია ხუხაშვილს ჰგონია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას კანდიდატები ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია და ყველგან უგულავას ირჩევენ

4

# თავისუფლება ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საზოგადოებამ კარგად იცის, რომ უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ეროვნული ფასეულობების და ასევე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

გახმაურებული „წიგნის“ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შემდგარი პრეზენტაციაც ამ მიზნით შემუშავებული ახალი გეგმის პირველი ნაწილი იყო; პროვოკაციის მეორე ნაწილი კი ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განხორციელდა.

დღეს არის მცდელობა, რომ ხალხის მთელი ყურადღება გადატანილ იქნას „კავკასიის“ ეთერში მომხდარი დაპირისპირების ფაქტზე, ხოლო მის გამომწვევ მიზეზებზე ცოტა ვინმე საუბრობს.



სინამდვილეში კი ფიზიკური დაპირისპირება გამოიწვია მორალურ-ფსიქოლოგიურმა ძალადობამ, რაც წიგნის დაბეჭდვასა და მისდამი პირდაპირ თუ ირიბ მხარდაჭერაში გამოიხატა.

ვფიქრობთ, არავის სჭირდება იმის მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესია, ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, ძალადობას ვერასოდეს დაუჭერს მხარს, ვისი მხრიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი.

ეკლესია არის ურთიერთგაგების, ერთობისა და მშვიდობის მომხრე და მოსურნე (ამ პრინციპებისადმი ჩვენი ერთგულება უახლოეს წარსულშიც არაერთხელ გამოვლინდა), მაგრამ ეკლესია ასევე ვერ დაუჭერს მხარს უზნეობის, უხამსობის, აღვირახსნილობისა და სატანიზმის პროპაგანდას.

დემოკრატიულ ღირებულებებს, რა თქმა უნდა, ჩვენ პატივს ვცემთ და ვიზიარებთ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას. ამიტომაცაა ევროპის თითქმის ყველა ტრადიციულ ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების უფლება თანაბრად დაცული.

ამიტომაცაა საყოველთაოდ აღიარებული, რომ გამოხატვის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვათა უფლებების დარღვევა; და რომ სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს შუღლისა და დაპირისპირების პროვოცირების უფლებას, ეკლესიის შეურაცხყოფის, რელიგიური გრძნობების შელახვის და სახელმწიფო სიმბოლოების დამცირების უფლებას.

ჩვენი აზრით, ყველაფერი გაკეთდა შეგნებულად (დეისაძე დაკვეთის შემსრულებელი ბრმა იარაღი იყო) იმისთვის, რომ მოეხდინათ მორწმუნეთა, განსაკუთრებით კი, მართლმადიდებელთა, პროვოცირება (შევნიშნავთ იმასაც, რომ მართლმადიდებლობის სახელით არც ერთი ორგანიზაცია არ არის საპატრიარქოს ინიციატივით შექმნილი), რათა მათზე აპელირებით მერე უშუალოდ ეკლესიის ავტორიტეტზე განეხორციელებინათ დარტყმა.

ეს „წიგნი“ და მისი პრეზენტაციაც იყო სატყუარა, ხაფანგი, რაც შემდგომმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა. ამიტომაც საპატრიარქო არ ჩაერთო დებატებში და მოსახლეობასაც მოუწოდებს თავშეკავებისაკენ.

დღეს კი, როდესაც ვნებათაღელვა შედარებით დაცხრა და მეტნაკლებად გონივრული ქმედების საშუალება მიეცათ ადამიანებს, მიგვაჩნია, რომ ვალდებულნი ვართ, საზოგადოებაც და ხელისუფლებაც გავაფრთხილოთ იმ საშიშროების შესახებ, რასაც საკითხისადმი დღევანდელი მიდგომა გვიქადის: ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში თუ აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიური გრძნობები ასე შეილახება (სასამართლოში ჩივილით ადამიანი ვერ იღებს იმ კომპენსაციას, რა დონის ზიანიც მას მორალურად მიეყენება), არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ შინაურმა თუ გარეშე მტერმა ისარგებლოს ამით და დეისაძის მსგავსი ადამიანის საშუალებით ასევე განზრახ შელახოს სხვა რელიგიების ან სხვა ქრისტიანული მიმდინარეობების წარმომადგენელთა რელიგიური გრძნობებიც, რაც სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზად შეიძლება იქცეს და რამაც შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

ამიტომაც მივმართავთ ხელისუფალთ, რეალური შეფასება მისცენ მომხდარს და სასწრაფოდ მიიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავს პიროვნების და საზოგადოების პატივსა და ღირსებას და მათ რელიგიურ გრძნობებს. ამით ჩვენ დავიცავთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა მშვიდობასა და კეთილდღეობას.

15 მაისი, 2010 წელი

გუშინდელი ფოსტიდან

# თორთლაძე ჩამოფრინდა, დავითაია გაფრინდა...

## ანუ გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა

**მართალია, ერთიცა და მეორეც ჩემი გვარისანი არიან, მაგრამ გუშინ ტელევიზიით ერთი ამერიკიდან ჩამოფრენილი რომ დავინახე აეროპორტში, ხოლო მეორე ამერიკაში გასაფრენად იქ მისული, კინაღამ სისხლი ჩამექცა ტვინში. ამ წერილსაც გაბრაზებული ამიტომ გწერთ.**

შეიძლება, რომ ჩვენისთანა ყუაზე გასული ქვეყნის პარლამენტარები ესოდენ ფუფუნების უფლებას აძლევდნენ საკუთარ თავს?! თანაც ამბობენ, რომ საქმისთვის დავდივართო. საქმეს კი იცით, რას ეძახიან? რასა და, ამერიკელებმა თურმე არ უწყიან, რომ საქართველო ოკუპირებულია, რომ რუსეთი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს და ან განა ის ცოტას ნიშნავს,



რომ დღე და ღამ ბედნიერ საქართველოზე მეოცნებე ამერიკელებმა ჯერ თორთლაძისაგან შეიტყვეს, 30 მაისს საქართველოში ადგილობრივი არჩევნებიაო, ხოლო ახლა დავითაიასგან გაიგებენ ამ ფრიად მსოფლიო მნიშვნელობის ამბავს!..

ერთი სიტყვით, ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო. ჩვენი პრეზიდენტისა არ იყოს, სწორედ ისეა ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარის საქმე...

იქნებ ზოგიერთმა თქვას, იარონ, რა გინდაო? რა მინდა და ის მინდა, რომ ჩვენი გაძვალტყავებული სახელმწიფოს ხარჯზე კი არ უნდა იარონ, თავიანთ ჯიბეში ჩაიყონ ხელი და ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ, მაგრამ თავიანთ ჯიბეში როგორ ჩაიყოფენ, როცა მუქთა სეირნობას არიან მიჩვეულნი. არადა, თუ მაინცდამაინც მართლაც რამე საქმეა თავდასადგმელი, ნუთუ თორთლაძეზე და დავითაიაზე ბევრად გონიერი და მცოდნე ადამიანები გაწყდნენ საქართველოში?! თვითონ პრეზიდენტი სააკაშვილიც ხომ აგერ ახლა დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც თითქმის მთელი ერთი თვე გაატარა. ვითომ კიდევ რაღაც სათქმელი დარჩა ამერიკელებისთვის და იმ რაღაცის სათქმელად გაუყენა თავის ამერიკულ კვალს ეს ერთ დროს მოშიმშილე და ამჟამად კარგა გვარიანად გამომძღარი პარლამენტარები?!

ცხონებულმა ბებიაჩემმა ამისთანა ხალხზე ერთი კარგი ანდაზის თქმა იცოდა: გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო. თუმცა ეგენი გიჟები კი არა, ჩვენი გაფუფალავებული საქართველოს გახვრეტილი ჯიბიდან გავარდნილები არიან, გიჟები და სულელები ჩვენა ვართ, რომ ამისთანა თავით ფეხთამდე ცრუადამიანებს ვატყუებინებთ თავს, და ზოგიერთს იქნებ მართალიც ჰგონია, როცა თორთლაძის პარტიიდან წამოყენებული თბილისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი გვარწმუნებს, სიყვარულით მოვდივარ, თბილისში სიყვარული უნდა დავამკვიდროო...

მე კი ყველას გასაგონად უნდა შევძახო: ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ თქვენი ამერიკული ცრუ ნანადირევით, და თქვენი ქართულ-თბილისური ცრუ პარტიული სიყვარულიც!..

გულნაზი თორთლაძე-დავითაია,
ქ. მცხეთა

ცესკო

# მოუწოდებენ სიფრთხილისა და პასუხისმგებლობისკენ




**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს „განსაკუთრებული სიფრთხილისა და პასუხისმგებლობის“ გამოჩენისკენ მოუწოდებს.**

— 2010 წლის 30 მაისს დანიშნულია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ამჟამად მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია, ამიტომ ზოგიერთი ქმედება, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება არასაარჩევნო პერიოდში, შეიძლება გახდეს დავისა და დაპირისპირების საგანი საარჩევნო პერიოდში.

ცესკო მოუწოდებს არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს — საოლქო და საუბნო კომისიის წევრებს, პოლიტიკურ პარტიებს, ამომრჩევლებს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავ ორგანოებს, გამოიჩინონ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, სიფრთხილე და მიმართონ მაქსიმალურ ძალისხმევას მათთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, რათა თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა წინასაარჩევნო პერიოდში, — ნათქვამია ცესკოს განცხადებაში.

ჯი-ეიჩ-ენი

პოლიტწკიპურტი

# არამკითხე ადვოკატები,

## ანუ ხაბაზმა რომ პური გამოაცხოს, კანონები კი ჭეშმარიტმა პოლიტიკოსმა შექმნას, მართლაც აჯობებდა!

**ხაბაზი, მოგეხსენებათ, მეპურეა, ადვოკატი კი — დანაშაულში ეჭვმიტანილისა თუ განსასჯელის ინტერესთა დამცველი, რომელსაც, წესით, აუცილებელი იურიდიული ცოდნა-განათლება თუ არა, იურისტის დიპლომი მაინც უნდა ჰქონდეს.**

მაინც-მეთქი, ხაზგასმით იმად ვამბობ, რომ ნაციონალთა საკადრო „პოლიტიკის“ წყალობით, როგორც ადრეც ვწერდი, საყველაფრისმცოდნეო უმაღლესის საუფროსო ფაკულტეტის კურსდამთავრებული „მენეჯერებით“ ამოივსო სახელისუფლებო სავარძლები და...

**ხაბაზის ნაცვლად პურს ხარაზი აცხობს, კაცი, რომელსაც სპეციალური, სამედიცინო კი არა, საერთოდ არანაირი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომიც კი არა აქვს, ჯანდაცვის მინისტრია, აგრონომი — ქალაქის მთავარი არქიტექტორი....**

მომრავლდნენ უდიპლომო, არამკითხე ადვოკატებიც, თუნდაც ნაციონალთა მიერ ყვარლის მერობის კანდიდატად წარდგენილი ლევან ჩოლოყაშვილისნაირები, ტელეკომპანია „რეალტივიში“ ლამის რომ ტიროდა თურმე, — ეს რა უმადური, დაუნახავი და აუტანელია ჩვენი ხალხი, ისე მოაბეზრეს თავი მიხეილ სააკაშვილს, სამშობლოში ჩამოსვლაც არ უნდაო (თითქოს მთელი თვე რომ არ ჩამოსულა პრეზიდენტი „ზაგრანიციდან“ საქართველოში, იმ დროს უღვრია მერად გამზადებულს ეს ცრემლები. ისე, ბატონო იმანო, რბილად რომ ვთქვათ, არ ვარგა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი და მთავარსარდალი ამდენი ხნით არის მოშორებული ქვეყანას. ჯერ ერთი, ვინმე ენაკვიმატმა, ამის შემხედვარემ, იქნებ თქვას კიდეც, თურმე უპრეზიდენტოდაც შეიძლება ცხოვრებაო („დაჟე“ უკეთაც კიო!ძ და, მეორეც — არა მგონია, მართლა ისეთი აწყობილი ქვეყანა გვქონდეს, რომ მისი მართვა „დისტანციონნის კნოპკებით“ შეიძლებოდესძ.

ახლა მეორე ადვოკატიც გამოჩნდა — პარლამენტარი კობა ხაბაზი, მატროსოვივით რომ გადაეფარა ცოლ-შვილის მოძულე თუ პირიქით, ცოლ-შვილის მიერ შეძულებულ-მოძულებული კაცივით ოჯახიდან (ამ შემთხვევაში თავისი სამართავი ქვეყნიდანძ „ველად“ გაჭრილ მიხეილ სააკაშვილს. ოღონდ, ხსენებული მერობის კანდიდატისგან განსხვავებით, სულ სხვა საკითხზე და სხვა კუთხით.

**ბათუმში ეკლესია ქალაქის განვითარებისთვის დავანგრიეთო,** — ბრძანა ბატონმა კობამ, — **მაგრამ არა მგონია, ეს დიდი ტრაგედია იყოსო(?!). მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი რომ აღარ იქნება, მაშინ დავითვალოთ, მისი პრეზიდენტობის დროს რამდენი ეკლესია აშენდაო.**

ბატონო კობა, ერთხელ დავწერე და ახლაც გავიმეორებ, რომ, საპარლამენტო უმრავლესობის ბევრი წევრისგან განსხვავებით, თქვენი ქმედებითა თუ საჯარო გამოსვლებით, არა ხართ ხალხის ჯანმრთელობისთვის მავნებელი (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვისძ, მაგრამ იქნებ შეეშვათ არამკითხე ადვოკატობას?

თუმცა მეც ვარ, რა! განა სწორედ და მხოლოდ ამის წყალობით არ ტივტივებთ თქვენც და ძალიან ბევრი თქვენნაირიც დღევანდელი ქართული პოლიტიკის მღვრიე დინების ზედაპირზე?



ეკლესია ქალაქის განვითარებისთვის დავანგრიეთო! აუჰ, რა მაგარია, ლამის ბოლშევიკური — ნგრევა შენებისთვის!

ვთქვათ, დავიჯერეთ (ისე დანგრევასაც თავისი წესი და რიგი აქვს — არ შეიძლებოდა ამ საკითხის მრევლთან და საპატრიარქოსთან შეთანხმება, ანუ ადამიანურად მოგვარება?ძ, მაგრამ **ქობულეთსა და ხაშურის ცენტრში აღმართული უზარმაზარი ჯვრები რომ ამოათხრევინეთ, ეს რომელი მშენებლობის თუ განვითარებისთვის გაკეთდა?** თუ რაო, უცხოელ არაქრისტიან მოქალაქეებს უშლიდნენ ეს ქრისტიანული სიმბოლოები ნერვებს?

თუმცა ახლა თქვენს მეორე „თეზას“ მივუბრუნდეთ: როცა სააკაშვილი არ იქნება პრეზიდენტი, მერე დავითვალოთ, მისი პრეზიდენტობისას რამდენი ეკლესია აშენდაო.

**დაითვლება, ყველაფერი დაითვლება, ბატონო კობა, თანაც უთუოდ! გაკეთებულიც დაითვლებ-შეფასდება, რაც უთუოდ არის, და როგორც ერთმა ჩემმა უფროსმა კოლეგამ მოსწრებულად შენიშნა, უკვე გაფუჭებულ-გასაფუჭებელიც.**

მაგრამ, რაკი ამჯერად მხოლოდ ეკლესიებზე ლაპარაკობთ, ბათუმელ კაცს ერთ ამონარიდს შემოგთავაზებთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ ამ ოცდაერთი წლის წინათ, 1989 წლის 15 მაისს, ბათუმის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვიდან, რომელიც პირველად ჩვენი გაზეთის წლევანდელი 15 მაისის ნომერში გამოქვეყნდა:

**— მე მინდა, დიდი კმაყოფლებით მოგახსენოთ,** — ბრძანა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, — **რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოს ეკლესიას გადაეცა ასზე მეტი ტაძარი.**

ხედავთ, ბატონო კობა, იმ „საზიზღარი“ კომუნისტების დროსაც ექცეოდა თურმე ყურადღება ეკლესიას და სულიერებას! ასე რომ, თავის საქებარი, ჩემი აზრით, აქ ბევრი არაფერი გაქვთ.

არც მე მაქვს ბევრი სალაპარაკო. ამიტომ ერთსღა ვიტყვი: **მართლაც სჯობს, რომ ხაბაზმა პური გამოაცხოს** (ამით თბილისის მერობისთვის გამზადებულ გიგი უგულავასაც შეეხიდება, რომელსაც წინასაარჩევნო პიარმა როგორც ჩანს, ისე დაახვია თავბრუ, რომ თონეში პურის ჩაკვრის მცდელობისას, თურმე კინაღამ შიგ ჩავარდნილაძ, კანონების „გამომცხობი“ ნაღდი პოლიტიკოსი კი, ალბათ, როგორმე, მოიძებნება.

**ყოველ შემთხვევაში, ხელმწიფის ნავში ჩასკუპების მოსურნე არამკითხე და, მით უფრო, უდიპლომო ადვოკატ-მატროსოვების ნაკლებობა ნაღდად არ იგრძნობა ჩვენში.**

რუსლან რუსია

ოპოზიცია

# მოსკოვთან მოლაპარაკებები წინაპირობების გარეშე დაიწყებაო

**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი პეტრე მამრაძე საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს ოფიციალურ განმარტებას სთხოვს იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა თბილისი მზად მოსკოვთან მოლაპარაკებების ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დასაწყებად.**

— ამ დღეებში თბილისში მყოფი პოლონეთის ექს-პრეზიდენტ ალექსანდრე კვასნევსკის განცხადებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მასთან საუბარში აღნიშნა, რომ ოფიციალური თბილისი მზად არის მოსკოვთან ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მოლაპარაკებების დასაწყებად. ჩვენ მივესალმებით ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის ამ პოზიციას, თუმცა მოვითხოვთ, რომ ალექსანდრ კვასნევსკისთან შეხვედრის დროს ნათქვამი სიტყვები გრიგოლ ვაშაძემ ოფიციალურად დაადასტუროს, — განაცხადა მამრაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე განმარტებით, „თუ ეს მართლაც ასეა, ეს იქნება ძლიერი, დადებითი შემობრუნება საგარეო პოლიტიკაში, იმის მიუხედავად, რას გვიპასუხებს რუსეთი“.

— ამას კმაყოფილებით შეხვდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები. გარდა ამისა, ეს იქნება იმის გარანტიაც, რომ საქართველოს დანაწევრების პროცესი შეჩერდება და აღარ გაღრმავდება, — განმარტავს ზურაბ ნოღაიდელის თანაპარტიელი.

ჯი-ეიჩ-ენი

## დრო არ ითმენს

*„1991 წლის ბოლოდან საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლება მხოლოდ ძალადობრივად იცვლება. დღევანდელი ჩინოსნებიც არ წავლენ კორუფციის, გახმაურებული მკვლელობების და სხვა დანაშაულობების გამო, რადგან დასაკარგი ბევრი აქვთ. ამიტომ, თუ ნებით არ მიდიან... საქართველოში რაღაც ისეთი უნდა მოხდეს“ — **თემურ შაშიაშვილის** გუშინდელი მონოლოგი ბრიფინგზე, ხელისუფლების შეცვლის აუცილებლობის საზოგადოებისთვის მიწოდებასა და დარწმუნებას ემსახურებოდა, რადგან გასული 26 მაისიდან ადამიანებს მაინცდამაინც დიდი სულიერი გარდატეხა არ განუცდიათ. საქართველოში არეულობა არავის არ უნდა, მაგრამ დამთრგუნველი შიშის გამო ხელისუფლების ზღვარგადასულობა ზომიერების ფარგლებს აშკარად სცდება.*




# პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით გამოკითხვა დაიწყო

### არსებობს საიდუმლო კასეტები, რომლებიც ჩინოსნების დანაშაულობებს ამხელენ

„დრო არ ითმენს, დღესვე დაიწყება თეთრების ვებ-გვერდზე გამოკითხვა პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით“, — განაცხადა შაშიაშვილმა, — აუცილებლად გავაკეთებთ 40-გვერდიან გაზეთს, სადაც მხილების მუზეუმის ყველა დეტალი აისახება. და, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს საინტერესო კასეტები, რომელთაც სახალხო სასამართლოს გადავცემთ“.

კასეტებზე, როგორც თეთრების ლიდერი ამბობს, არის კადრები, სადაც კარგად ჩანს მაშინდელი თბილისის მერი კოტე გაბაშვილი იარაღასხმული როგორ დადის ქუჩებში, როგორ შეაგროვა მან ჭადრაკის სასახლეში შეკრებილებისგან შემოწირული ფული, რომელიც არავინ იცის, სად წავიდა და რას მოხმარდა. ასევე, ერთ-ერთ კასეტაზე ჩაწერილია შევარდნაძის მაღალჩინოსნებისა და სააკაშვილის შეხვედრა სადღაც გვირაბში. ეს არის 2003 წლის 2 ნოემბრიდან „ვარდების რევოლუციამდე“ პერიოდში, მათი საუბარი არჩევნებსა და შევარდნაძის წინააღმდეგ შეთქმულებას შეეხება.

ამ ჩანაწერებს დღის სინათლეზე სახალხო სასამართლო გამოიტანდა, მაგრამ შაშიაშვილი ამბობს, რომ იმ დღიდან, რაც მოსამართლე მინდია უგრეხელიძემ ფიცი დადო, სულ ავადმყოფობს და საავადმყოფოდან ფეხი არ გამოუდგამს.

ბრიფინგზე სააკაშვილის ჩინოსნების ფეშენებელური საცხოვრებელი სახლების სურათებიც გამოფინეს: ცისკარიშვილის, ჩოჩელის, ბეჟუაშვილის. **ამ სურათებს ზუსტად ისე აფრიალებდა თემურ შაშიაშვილი, როგორც თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა ამხილა შევარდნაძის მაღალჩინოსნები და გაკიცხა ამის გამო. დღეს ეს კადრები სააკაშვილს იქნება არც ახსოვს, ან გახსენება არ უნდა, მაგრამ ხალხს არაფერი ავიწყდება.**

მართლაც შაშიაშვილის თქმისა არ იყოს, „განსაკუთრებულად დამანგრეველი ბოლო თხუთმეტი წელიწადი აღმოჩნდა, როცა გარედან მართვადმა ერთი და იმავე პოლიტიკურმა ჯგუფმა, დასაწყისში „მოქკავშირისა“ და „აღორძინების“, ხოლო ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ „ნაცმოძრაობის“ სახელით, ხალხის უდიდესი ნაწილი დაამშია და დააუძლურა“.

ამიტომაც იხარჯება საქართველოში განათლებისთვის ერთ სულზე 76 აშშ დოლარი, მაშინ, როცა ისრაელში იხარჯება 1477, ფინეთში — 1940, გერმანიაში — 2548. განათლებისთვის ჩვენი ბიუჯეტი ხარჯავს ბევრად ნაკლებს, ვიდრე კეთილმოწყობაზე, გზების დაგებაზე, სამთავრობო სტრუქტურების შენახვაზე. „როცა საქართველოში საშუალო ხელფასი — 500 ლარი, ხოლო ამერიკაში — 3000 დოლარია, პირველადი მოხმარების საგნები და საკვები პროდუქტები ჩვენთან გაცილებით ძვირია, — ამბობს შაშიაშვილი, — საქართველო ადამიანური განვითარების ინდექსით პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მე-10 ადგილზეა. ჩამოვრჩებით ყველას, გარდა შუა აზიის ქვეყნებისა“.

ამ ყველაფერს თემურ შაშიაშვილი იმით ხსნის, რომ ბრძოლა მიდის ქართული კულტურის, განათლების, ცნობიერების წინააღმდეგ. „ჩვენი სამშობლოს უპირველესი მტერი, საუკუნეებიდან მომდინარე, დღესაც მყარად მდგომი „აზროვნების სიძნელეა“ — იშველიებს ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს „თეთრების“ ხელმძღვანელი, — „აზროვნების სიძნელე“ კერპებით, გონებით კი არა, ემოციით ცხოვრებაა, როცა ჭირს ბოროტისა და კეთილის გარჩევა“.

**ბოროტისა და კეთილის გარჩევას თვალის გახელვაც სჭირდება, სწორედ ამ მიმართულებით ძალიან ბევრს მუშაობენ „თეთრები“, მაგრამ, ეტყობა, არ არის საკმარისი... ერი ცვლილებებისთვის ჯერ მზად არ არის, ან...**

**ნია ფიფია**

## სარჩელი

# ადვოკატთა ასოციაცია — გიგი უგულავას წინააღმდეგ

***გიგი უგულავას ჯერ კიდევ მერობის კანდიდატად დასახელებამდე ადანაშაულებდნენ ადმინისტრაციული რესურსის სათავისოდ გამოყენებაში. რაც უფრო გააჭიანურა ხელისუფლებამ საკუთარი კანდიდატის დასახელება, კიდევ უფრო გაძლიერდა ეჭვები, რომელიც პოლიტიკურ სპექტრს აწუხებდა. თუმცა არც საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ აქვს ოპოზიციას დამშვიდების საშუალება, რადგან ოფიციალურად გიგი უგულავა მერის პოსტიდან არ გადამდგარა და თუნდაც წლის დასაწყისში დაგეგმილი პროექტები, რომლებსაც დასრულების შემდეგ, რა თქმა უნდა, თბილისის მოქმედი მერი გახსნის, ნებსით თუ უნებლიედ მაინც მის წისქვილზე მიუშვებს წყალს. ეს კი აშკარად უპირატესობაა დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით.***

ყველაფერთან ერთად გიგი უგულავას ადვოკატთა ასოციაციაც უჩივის. როგორც ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გიგი უგულავამ თანამდებობრივ უფლებამოსილებებს გადააჭარბა და „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, ასევე მეათე მუხლის პირველი ნაწილი დაარღვია, როდესაც საარჩევნო პროგრამაში ადვოკატის სახელი გამოიყენა. საქმე ისაა, რომ ტელეეთერში ტრიალებს კლიპი „თბილისელების ადვოკატის“ შესახებ. ამ პროგრამის დაფინანსებისთვის კი საკრებულომ 200 ათასი ლარი გამოყო. სწორედ „თბილისელების ადვოკატის“ პროექტის შექმნა მიაჩნია ზაზა ხატიაშვილს კანონის უხეშ დარღვევად.



**ზაზა ხატიაშვილი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:** — „ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საადვოკატო საქმიანობას ადვოკატი ახორციელებს, მეორე ნაწილის თანახმად ადვოკატი თავისუფალი პროფესიის პირია, რომელიც მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს ემორჩილება და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. მეათე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება აქვს მიღებული, გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა და იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი გააჩნია. ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ უგულავამ წინასაარჩევნოდ ადვოკატთა ასოციაციის ფუნქციების შეთავსება დაიწყო და იგი საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ტელევიზიების მიერ პროექტ „თბილისის ადვოკატთა“ კლიპის გადაცემა. ეს არის წმინდა წყლის სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ამ შემთხვევაში მინიმუმ 5-წლიან პატიმრობას ითვალისწინებს. უგულავას უფლება ჰქონდა იურიდიული საკონსულტაციო ჯგუფი შეექმნა, მაგრამ არ ჰქონდა უფლება, გამოეყენებინა ადვოკატის სახელი, შეექმნა „თბილისის ადვოკატის“ ჯგუფი და ადვოკატთა სახელით დაესაქმებინა სტუდენტები.

ადვოკატთა ასოციაციის საჩივარი საქართველოს მთავარ პროკურორს მურთაზ ზოდელავას უკვე „მაგიდაზე უდევს“, მაგრამ ზაზა ხატიაშვილი აქ გაჩერებას არ აპირებს და თუ საქართველოში სამართალს ვერ მიაღწევს, რისიც დიდი ალბათობა არსებობს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართავს.

**ერთი კია, ხელისუფლების წრეებში ხომ ამდენი იურისტია და წესით, ზემოთ ჩამოთვლილი კანონებიც უნდა იცოდნენ. მაშინ რა ხდება, რატომ აღარ უწევენ ანგარიშს არავის და პროფესიებსაც კი თავიანთ აღმოჩენებად მიიჩნევენ?!**

**ანა წიწილაშვილი**

## მინისტრი დევნილებთან

# ზოგს სჯეროდა, ზოგს — არა...

**ქუთაისში ნიკეას ქუჩაზე, სპორტსკოლაში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი შეხვდა ქუთაისის ლტოლვილთა ერთ ნაწილს და მოისმინა მათი პრობლემები.**

კობა სუბელიანმა ისაუბრა ახალი ბინების მშენებლობაზე, გაზიფიცირებასა და სხვა პრობლემაზე. მისი თქმით, ქვეყნის მასშტაბით 15000 ლტოლვილს უკვე დაუკანონდა და კერძო საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ფართი.

ბატონი კობას განმარტებით, პირველ ეტაპზე ბინებით უზრუნველყოფენ მათ, ვისაც ბინები არ აქვს ან სახელმწიფო საკუთრებაში არის შესახლებული, ხოლო მეორე ეტაპზე ბინებს ისინი მიიღებენ, ვინც ქირით, გირაოთი ან ნათესავთან ცხოვრობს.

მინისტრმა სათითაოდ ყველა დევნილს გასცა პასუხი. მან დევნილებს აცნობა, რომ შენდება ახალი კორპუსები, სადაც საცხოვრებელ ფართებს მიიღებენ.

კითხვაზე, თუ როგორ მოხდება გაზიფიცირება, მინისტრმა მათ მოახსენა, რომ გაზის კომპანია საკუთარ თავზე აიღებს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ბინებში მეპატრონეებმა გაზი თავისი ხარჯებით უნდა შეიყვანონ. ამ პასუხმა დევნილების ძალიან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ლტოლვილებისთვის სახელმწიფოს მიერ უკვე აშენებულ ბინებშიც, რაშიც მილიონები დაიხარჯა, უამრავი პრობლემაა — სახურავიდან წყალი ჩამოდის, სააბაზანოში ბაკებიდან წყალი ჟონავს, უკვე აყრილია იატაკი. გაზი თავისთავად არ არის, დენის მხრივაც პრობლემები აქვთ, გაუნათებელია სადარბაზოები და მოუწესრიგებელია გარე ეზოები.

ზოგმა იმედის თვალით შეხედა ბატონი კობას ვიზიტს, ზოგიც, ხელჩაქნეული გაცდენილ დროზე ჯავრობდა...

**სალომე კვინიკაძე**

## ინფორმაცია

# გაიცა ბიომეტრიული პასპორტი

**აჭარაში** საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეებმა ჯამბულ ებანოიძემ და გიორგი ვაშაძემ ბიომეტრიული დოკუმენტების პერსონალიზაციის ხელვაჩაურის ცენტრი გახსნეს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ ბიომეტრიული პასპორტების ხელვაჩაურის ბეჭდვის ცენტრში დაბეჭდილი პასპორტი ადგილობრივ მოსახლეს როინ დავითაძეს გადასცა.

ბიომეტრიული პასპორტი ევროპული სტანდარტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია, რომელსაც დამატებული აქვს ელექტრონული მეხსიერების მატარებელი პიროვნების ფოტოსურათი და თითის ანაბეჭდების ინფორმაცია.

როგორც გიორგი ვაშაძემ განაცხადა, დღეისათვის მოქალაქეებს მთელი საქართველოს მასშტაბით შეუძლიათ მიიღონ მსოფლიოში უმაღლესი სტანდარტების მქონე პასპორტები.

მისი თქმით, ბიომეტრიულ პასპორტს რამდენიმე უპირატესობა აქვს: დოკუმენტი არის მაღალტექნოლოგიური, გაყალბებისგან დაცული და გარდა ამისა, ბიომეტრიული პასპორტების სისტემაზე გადასვლა იმას ნიშნავს, რომ გამარტივებული სავიზო რეჟიმის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, ნებისმიერ მოქალაქეს გაუმარტივდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გადაადგილება.

ქვეყნის მასშტაბით ბიომეტრიული პასპორტის ბეჭდვის სამი ცენტრი მუშაობს (თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში).

ბიომეტრიული პასპორტები 10 წლის ვადით გაიცემა და მისი ღირებულება 100 ლარია. პასპორტის მიღების მსურველებს სამოქალაქო რეესტრი დაჩქარებულ მომსახურებასაც სთავაზობს. ბიომეტრიული პასპორტის აღება განცხადების შეტანიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში 100 ლარი ეღირება, მე-5 სამუშაო დღეს — 120, მე-3 სამუშაო დღეს — 150 ლარი, განაცხადის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში 190 ლარი, ხოლო იმავე დღეს 205 ლარი.

ბიომეტრიული პასპორტის გაცემის პარალელურად ვადის გასვლამდე მოქმედებაში იქნება დღეისთვის მოქმედი პასპორტები. ბიომეტრიული პასპორტი არ გაიცემა 16 წლამდე ბავშვებზე. მათთვის სამი წლის ვადით გაიცემა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რომლის ღირებულებაც 17 ლარი და 50 თეთრი იქნება.

ჯი-ეიჩ-ენი

ვინ — ვის?

# საქართველოს მოსახლეობის ნაწილს ჰგონია, რომ ყველგან გიგი უგულავას ირჩევენ

***რითი** განსხვავდება მიმდინარე საარჩევნო კამპანია საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების კამპანიებისგან, რამდენ ფინანსებს, რაში და რამდენად ეფექტურად ხარჯავენ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები, რომელი პოლიტიკური სუბიექტის ეკონომიკური პროგრამაა ყველაზე საუკეთესო? ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში გია ხუხაშვილს ესაუბრა.*



**— ბატონო გია, როგორ შეაფასებდით საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას?**

— ჩემი აზრით, კამპანია საკმაოდ მდოვრედ მიმდინარეობს. ჯერჯერობით, სერიოზული პოლიტიკური დისკუსიები არ გამართულა და პოლიტიკური ტემპერატურა საკმაოდ დაბალია. არის გარკვეულ პრობლემებზე ხაზგასმები, მაგრამ პრობლემები არ გვარდება. პროტესტის ის ფორმები, რაც შედეგზე შეიძლება იყოს ორიენტირებული, არ ჩანს. შესაბამისად, მე ვიტყოდი, რომ წინასაარჩევნო პროცესი არასასიამოვნოდ სტაბილურ ვითარებაში მიმდინარეობს. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, რეგიონებში ოპოზიციური ძალების აქტიურობა თითქმის არ შეიმჩნევა და ძირითადი აქცენტები კეთდება თბილისზე. რეგიონებში ჩანან მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობის განსაკუთრებული კონსტრუქციულობით გამოირჩევიან. ეჭვს არ იწვევს, რომ რეგიონებში მათი აქტიურობა ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმების საგანია.

რამდენიმე დღეა დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები რეგიონებში დავდივართ და უცნაურ ვითარებას ვაწყდებით. რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობას ჰგონია, რომ გიგი უგულავას ირჩევენ. გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობას რეგიონებში რეალური კანდიდატები არც ხელისუფლების და არც ოპოზიციისა ფიზიკურად არ უნახავთ, ხოლო ტელევიზორში ხედავენ უგულავას, მათ რატომღაც მიაჩნიათ, რომ ირჩევენ უგულავას. არ ვიცი, ყველგან ასეა თუ არა, მაგრამ ქვეყნის ორ საკმაოდ დიდ და პრობლემურ რეგიონში რომ ასეა, ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ რეგიონებში გასვლის აუცილებლობაზე, რეალურად რეგიონებში მათი აქტიურობა არ შეიმჩნევა.

**— ოპოზიცია ხელისუფლებას რეგიონებში მათი აქტივისტების შევიწროებასა და საზოგადოებაში შიშის ატმოსფეროს შექმნაში ადანაშაულებს. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ შეფასებით, წლევანდელი წინასაარჩევნო კამპანია ნაკლები დარღვევებით, მაგრამ მაინც არაცივილიზებულად მიმდინარეობს. თქვენ ეთანხმებით ამგვარ შეფასებას?**

— ამ მხრივ, მგონი ბევრი არაფერი შეცვლილა. ხელისუფლება ცდილობს რეგიონებში ადმინისტრაციული რესურსის მხრიდან ძალადობის ფაქტები არ გახმაურდეს. შესაძლოა, ცენტრალური ხელისუფლებიდან არც იყოს გაცემული არჩევნებში ადგილობრივი რესურსის გამოყენების დირექტივა, მაგრამ ადგილობრივი ჩინოვნიკები თავად იჩენენ ინიციატივას, რადგანაც ადგილობრივი ჩინოვნიკებისთვის ამ არჩევნების მოგება „პირადი ღირსების“ საქმეა. არჩევნების მოსაგებად ადგილობრივი ხელისუფლება ყველა იმ საშუალებას იყენებს, რასაც წლების განმავლობაში იყენებდა. ყველა მათგანი თვლის, რომ თუ ხელისუფლებისთვის სასურველი შედეგი ვერ მიიღო, ისინი სამსახურს დაკარგავენ და მათ სხვები ჩაანაცვლებენ. ეს ადამიანები, მათი ბუნებიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ერთ მშვენიერ დღეს დემოკრატები ვერ გახდებიან.

**— არჩევნები რომ ფინანსების ხარჯვის დროა, არახალია. ტელეეთერში ასახული საარჩევნო კამპანია საშუალებას იძლევა საერთო წარმოდგენა გვქონდეს არჩევნების ეკონომიკურ ასპექტებზე. თქვენი აზრით, რამდენს, რაში და რამდენად ეფექტურად ხარჯავენ ფინანსებს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები?**

— დღეს რასაც ფინანსები ჰქვია ორ — ანტიპუტინისტურ და პროპუტინისტურ პოლუსებზეა. ფული აქვს ხელისუფლებას, ხელისუფლების მიერ ინიციირებულ ოპოზიციურ ფრთას და ნოღაიდელს. დანარჩენ ოპოზიციაში ფინანსები მაინცადამაინც არ შეიმჩნევა და ეს სარეკლამო კამპანიასაც ეტყობა. არ არსებობს გარე რეკლამა, ხშირ შემთხვევაში მცირე ზომის პლაკატებიც კი არ არსებობს, რეგიონებში უფინანსობის გამო დარღვეულია კავშირი ცენტრალურ ოფისებსა და ადგილობრივ წარმომადგენლობებს შორის.

ახლა იმაზე, თუ რა რესურსები მიემართება არჩევნებზე. მოგეხსენებათ, რომ ნაციონალურ არხებზე ფასიანი ტელერეკლამა მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს. ფანტასტიკურ ფასებზეა საუბარი, ვინაიდან, როცა ტელევიზიებში ერთწუთიანი რეკლამა 20 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირს, თავისთავად მეტყველებს, რა ხდება. ამ შემთხვევაში ორი კურდღლის დაჭერასთან გვაქვს საქმე. გამომდინარე იქიდან, რომ ტელევიზიები ხელისუფლების დაქვემდებარებაში არიან, ისინი არჩევნების პერიოდში ერთის მხრივ უპირატეს მდგომარეობაში არიან, ვინაიდან მათ გარდა დიდ თანხას ვერავინ გადაიხდის, ხოლო მეორე მხრივ თავისივე კონტროლირებად ტელევიზიებში „ქარავენ“ საარჩევნო თანხებს, ანუ ერთი ჯიბიდან გადააქვთ მეორე ჯიბეში. პრაქტიკულად უდანაკარგო მუშაობაა.

რაც შეეხება საარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო სახსრების ეფექტურობას, აქ ნამდვილად გვაქვს პრობლემა. ჩვენი ბიუჯეტი ისედაც დაბალი ეფექტურობით ხასიათდება. ის, რაც წინასაარჩევნო პერიოდში ხდება, კატასტროფულ ფორმებს იძენს. საბიუჯეტო სახსრები თბილისსა და ნებისმიერ სხვა რეგიონში მთლიანად სახელისუფლებო კანდიდატთა საარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენება. საბიუჯეტო თანხები პოპულისტურ ნაბიჯებზე იხარჯება და არა ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკურ საჭიროებაზე.

**— არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების აღმოფხვრაში არასამთავრობო ორგანიზაციები დიდ იმედებს ამყარებენ უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფზე, რომელშიც შედიან შსს-ს მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბოკერია, პროკურატურისა და სხვა მნიშვნელოვანი უწყებების მეორე პირები. თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური იქნება ამ ორგანოს საქმიანობა?**

— თქვენ ისეთი ადამიანების ჩამონათვალი გააკეთეთ, რომლებიც წლების განმავლობაში შემჩნეული არიან აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოქმედებებში. თუ ვინმეს უნდა დაიჯეროს, რომ ადამიანი შეიძლება ერთ დღეში შეიცვალოს, ეს მისი საქმეა, მაგრამ მე ამდენად მიამიტი არა ვარ. ზღულაძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების განცხადებები — ჩინოვნიკებმა თავი შეიკავონ საარჩევნო პროცესში მონაწილეობისაგან — არა ქართული საზოგადოების, არამედ ქვეყნის საზღვარგარეთელი პარტნიორების გასაგონად კეთდება.

ვიმეორებ, ამ არჩევნებზე ხელისუფლება რეგიონების ხელისუფლების ორგანოებს არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოსაყენებლად პირდაპირ დირექტივებს არ მისცემს, მაგრამ ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენებებისთვის არც არავის დასჯის. ამის ნათელი მაგალითია დიდუბის ფაქტი, სადაც ხელისუფლების კანდიდატმა მთელი საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობა რესტორანში აქეიფა, რისი ვიდეომასალაც არსებობს. მაშინ, როცა ეს ფაქტი ხელისუფლების მხრიდან რეაგირების გარეშე დარჩა, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისადმი ნდობაზე საუბარი, ზედმეტია.

**— თქვენ, როგორც ეკონომიკურ ექსპერტსა და მოქალაქეს, არჩევნებში მონაწილე რომელი პოლიტიკური სუბიექტის ეკონომიკური პროგრამა მოგწონთ?**

— მოსაწონი, შესაძლოა ძალიან ბევრი რამ იყოს, მაგრამ რეალისტური და ეფექტური ძალიან ცოტაა. მე ვიტყოდი, რომ „ალიანსის“ გარკვეული პროექტები, მაგალითად სოციალური და თუნდაც მეწარმეობის განვითარებასთან დაკავშირებული პროგრამა რეალური და მისაღებია. მისი რეალიზაციის შემთხვევაში გარკვეული ეკონომიკური ეფექტის მიღება შესაძლებელია.

რაც შეეხება ქრისტიან-დემოკრატების აბსურდულ დაპირებებს. რატომ არ უნდა მომწონდეს უფასო წყალი და დაბალი ფასები გაზზე და დენზე, მაგრამ ეს რომ არარეალურია, მათ თავადაც კარგად იციან.

ვთქვი, მაგრამ მაინც გავიმეორებ, რომ „ალიანსის“ ეკონომიკური პროგრამა სხვაზე უფრო რეალისტურად გამოიყურება, მასზე „ახალი მემარჯვენეები“ წლების განმავლობაში მუშაობდნენ და მასში ეკონომიკის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის საკმაოდ ბევრი რაციონალური მარცვალია.

**კობა ბენდელიანი.**

ფალსიფიკაცია

# „პილატე“ ხელისუფლება და დაზარალებული მომხმარებელი

## საქართველოში დიეტურის ნაცვლად, „დეკორაციული“ პური იწარმოება

**საქართველოში დიეტური პურის წარმოებას ბევრი კომპანია „იბრალებს“, თუმცა, როგორც ირკვევა, გაყიდული დიეტური პურის რაოდენობა ჭვავის იმპორტირებული ფქვილის რაოდენობას არ შეესაბამება.**

როგორც „პირველს“ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის თავმჯდომარემ მაია მეტრეველმა განუცხადა, ქართული საწარმოები ჭვავის პურს იმპორტირებული ფქვილით აცხობენ, ვინაიდან საქართველოში ჭვავის ფქვილი არ იწარმოება.

„შარშან საქართველოში მხოლოდ 2 000 ტონა ჭვავის ფქვილი შემოვიდა და ვინაიდან მისი ფასი ჩვეულებრივ, ხორბლის ფასს დაახლოებით 6-ჯერ აღემატება, ქართველმა მეწარმეებმა საკუთარი ფინანსების გაფრთხილების მიზნით სიტუაციიდან გამოსავალი იპოვეს და დიეტური პურის სახით მომხმარებელს „დეკორაციული“ პური შესთავაზეს“, — აცხადებს მეტრეველი.

მისივე ინფორმაციით, მართალია, „დეკორაციული“ პური ეგრეთ წოდებული საკვებდანამატებით, მოხალული ფქვილითა და ჯანმრთელობისთვის უვნებელი საღებავით მზადდება, თუმცა ის მოლოდინი, რომ მომხმარებელი საკვებად დიეტურ პურს მიიღებს, არ მართლდება, ვინაიდან საქართველოში მომხმარებლის გარკვეული სეგმენტისათვის საჭირო დიეტური პური არ იწარმოება.



ყველა სიკეთესთან ერთად, სურსათის უვნებლობის შესახებ კანონის განხილვამ ამჯერად 2013 წლამდე გადაიწია. ამიტომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს კერძო საწარმოებში საკუთარი ინიციატივითა და კონკრეტული საჩივრის შესვლის გარეშე ინსპექტირების უფლება არ აქვს. ამასთანავე, კანონი მეწარმეს საკუთარი სტანდარტის „მოგონების“ უფლებას აძლევს, რასაც იურიდიულად „საქსტანდარტი“ უკანონებს. ამ გზით კი მეწარმე საკუთარი სტანდარტების დეკლარირებას ახდენს.

„თუ რა ხდება რეალურად მსს-ს (მეწარმე, სუბიექტი, სტანდარტიძ უკან, ეს უკვე გამჭვირვალე არაა, თუმცა იმის შესახებ, რომ საქართველოში სპეციალური ტექნოლოგიებით დიეტური პური არ ცხვება, ნებისმიერ მეწარმესთან შემიძლია, ვიკამათო“ — განაცხადა მეტრეველმა.

„პირველის“ კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მეწარმეები არათუ მხოლოდ აღნიშნული „მსს“-ს უკან იმალებიან, არამედ ეტიკეტზე აღნიშნავენ, თითქოს საწარმო დიეტურ პურს გვთავაზობს, რაც აშკარა ფალსიფიკაციაა, კანონის, მეწარმისა და სურსათის უვნებლობის სამსახურს შორის ურთიერთობის გარკვევის პროცესში კი დაზარალებული და მოტყუებული ისევ მომხმარებელი რჩება.

ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ამ საქმით სამართალდამცველი ორგანოების დაინტერესების შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე თალლითობის (184-ე მუხლით უნდა აღიძრას. გარემოებების, დამნაშავეთა ჯგუფის თუ კონკრეტული სუბიექტის პასუხისმგებლობა, დაზარალებულებისა და დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, პირველ რიგში — მეწარმეს, შემდეგ კი ხელშემწყობ პირებს დაეკისრება და ეს უკვე გამოძიების პრეროგატივაა.

სიტუაციაში გარკვევამდე კი გამოდის, რომ სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურისთვის რეალური ფუნქციის კანონით დაბრუნებამდე ინსპექციის ფუნქცია თავად მომხმარებელმა უნდა შეითავსოს.

◉ რაღაა იგი სინათლე...

# ის, რაც სიბნელემ გამოანათა!



## ჩვენ მოვდივართ, რათა დავასრულოთ სააკაშვილის რეჟიმი საქართველოში, - თქვა ეს ინგა გრიგოლიამ და ბათუმის თეატრში შუქიც გაითიშა

**ბათუმელებს მოახლოებული არჩევნები ისე არ ადარდებთ, როგორც გადათხრილი, ტალახიანი, გაუსაძლის მტვერში ჩაძირული ქუჩები და ბათუმის მომავალი საკურორტო სეზონი. ბათუმელებს არჩევნები იმიტომაც არ ადარდებთ, რომ ყველამ კარგად იცის, ქალაქის საკრებულოს ბევრს არავინ არაფერს ეკითხება. ქალაქის ახლანდელი დეპუტაცია ნოტარიუსის როლშიც კი არ იყო, ბათუმის ყველა საკითხი თბილისში წყდება.**

ამ ფონზე ვითარების შესაცვლელად, ოპოზიციური პარტიების გაბრძოლება რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ეს ოპოზიციური პარტიებია არიან ციდან ვარსკვლავების მომწყვეტნი, ყველა ერთ ჰანგზე ღიღინებს. ხალხი იმის მიხედვით გამოხატავს მათ მიმართ სიმპათია-ანტიპათიას, თუ ვინ არის პარტიის ხელმძღვანელი თბილისში.

ამ მხრივ გიორგი თარგამაძეს აჭარაში სხვებთან შედარებით უდავო უპირატესობა აქვს. უპირველესად იმიტომ, რომ იგი დღეს ერთადერთი პარტიული ბოსია, რომელიც აქ ხანგრძლივად მოღვაწეობდა.

ქვეყნის მთავარი ქრისტიან-დემოკრატი ოცი წლისა იყო, აჭარის ტელევიზიის დირექტორად რომ დაინიშნა. მაშინ მე ტელევიზიის დირექტორის მოადგილე ვიყავი და კარგად ვუწყი, როგორ იწყებდა შრომითს საქმიანობას. მძიმე დრო იყო — 1993 წელი.

ერთხანს ერთად მოგვიწია მუშაობა, შემდეგ მე სხვა სტრუქტურაში განვაგრძე საქმიანობა, მაგრამ ახლო ურთიერთობა მუდამ გვქონდა. ახალგაზრდა თბილისელმა ჟურნალისტმა აჭარაში პოპულარობა მალე მოიპოვა. ბევრი მეგობარიც შეიძინა. შემდგომ სწორედ აჭარიდან მოხვდა იგი საქართველოს პარლამენტში. სხვათა შორის, აჭარაში დაფრთიანებული სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, აჭარასთან მეგობრული კავშირები არ გაუწყვეტია. სხვებისგან განსხვავებით, იგი აქაურ არც ძველ და არც ახალ პოლიტიკოსებს ლანძღვა-გინებით არ მოიხსენიებს.

აჭარაში იგი სასურველი სტუმარი რომაა, ეს ამ პარტიის ხელმძღვანელების ახლანდელი სტუმრობის დროსაც გამოჩნდა. გიორგი და მისი რაზმი (არკადი გაიდარის „თემური და მისი რაზმი“ მახსენდებაძ აჭარის ყველა რაიონს ესტუმრა. განსაკუთრებით პომპეზური ბათუმის თეატრში გამართული შეხვედრა გამოდგა. ყველა ადგილი დაკავებული იყო. ჩემი ყურადღება მიიქციეს ქრისტიან-დემოკრატების ახალგაზრდა ფრთის წევრებმა, რომლებიც ეკიპირებითაც გამოირჩეოდნენ და იქ იყრიდნენ თავს, საიდანაც ასლან აბაშიძემ აჭარის პირველი პირის რანგში უკანასკნელად გაიხურა კარები. ახლა მოქმედი ხელისუფლების გულის გასახეთქად ახალგაზრდები გიორგი, გიორგიო სკანდირებდნენ. ამაზეა ნათქვამი, დრონი მეფობენ და არა მეფენიო.

თეატრში შეკრებილების წინაშე პირველი აჭარის მთავარი ქრისტიან-დემოკრატი, აქაური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნიაზ ზოსიძე გამოვიდა. შემდგომ — ლევან ვეფხვაძე, აჭარის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი ირაკლი გოგიტიძე. მას მოჰყვა გიორგი ახვლედიანი, შემდეგ კი ინგა გრიგოლიამ დაიკავა ტრიბუნა, სწორედ მაშინ აირია ქრისტიან-დემოკრატების ბათუმელი დეპუტატობის კანდიდატის, ბათუმის თეატრის მსახიობის ავთანდილ ქარჩავას მიერ შეხვედრის დაწყობილი სცენარი.

აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ პოპულარულ ჟურნალისტს, აწ უკვე პოლიტიკოსს, შუა გამოსვლის დროს შუქს გაუთიშავდნენ! ისე იმ დალოცვილს რამ ათქმევინა „ჩვენ მოვდივართ, რათა დავასრულოთ სააკაშვილის რეჟიმი საქართველოშიო!“

**მასე არ უნდა ჩვენი პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლაო, თქვეს იქ** (სადაო, არ მკითხოთ ახლაძ **და ჩაქრა შუქი, გაითიშა მიკროფონები და დინამიკები.**

ინგა გრიგოლია, რის ინგა იქნებოდა, რომ დაბნეულიყო. ადგა, დატოვა შუა სცენა და მაყურებლის წინაშე მთელი თავისი სიდიადით წარსდგა.

ღმერთო ნუ მიწყენ და, რა ვქნა, დღემდე მხიბლავს კარგი ქალი და ჭკვიანი პოლიტიკოსი. როგორც ჩანს, მარტო მე არ ვარ ასე.

ჩაბნელებულ დარბაზში ისეთი სიჩუმე დადგა, ინგას ხმაც არ აუწევია, ისე განაგრძო საუბარი, რომელსაც შიგადაშიგ დამსწრენი ტაშით აწყვეტინებდნენ.

შეხვედრა რომანტიკულ სიბნელეში გაგრძელდა. იმ იმედით, რომ დენს მალე ჩართავდნენ, ავთანდილ ქარჩავამ დარბაზის გამხნევება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით გადაწყვიტა. არადა, იგი მართლაც დიდებულად კითხულობს მთის არწივის ლექსებს. ამის მერე არავის უნდა გაუკვირდეს, თუ ავთანდილ ქარჩავამ ბათუმის დეპუტატობა გააჩა. დენი კი არადა არ მიეწოდებოდა დარბაზი, რომელიც თარგამაძის გამოსვლას ელოდა.

და რაკი ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მიღწევა-მონაპოვარი — უწყვეტი ელექტრომომარაგება შეწყვეტილი იყო, გიორგი თარგამაძე ჩაბნელებულ სცენაზე ავიდა და იქიდან მიმართა დარბაზს. პარტიის ლიდერმა სიბნელეში იმ სინათლეზე ილაპარაკა, ქრისტიან-დემოკრატების ხელისუფლებაში მოსვლას რომ მოჰყვებოდა.

მაგალითად, სოფლის მეურნეობა აღორძინდებოდა, რადგან ამ დარგის დასაფინანსებლად 170 მილიონ ლარს გამოყოფდნენ. ბათუმში მუნიციპალურ საავადმყოფოს ააშენებენ, აჭარას ექნება სააპელაციო სასამართლო და სამართლის მაძიებელ კაცს ხულოდან ქუთაისში აღარ დასჭირდება სიარული, მშობიარობას 100% დააფინანსებს, დაიწყება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს აღდგენა და სხვა.

გიორგი თარგამაძემ აჭარაში არსებული პრობლემები რომ კარგად იცის, ეს აქაც გამოჩნდა. ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტეს „იქ“, თარგამაძის გამოსვლის მიწურულს მაინც ჩაერთოთ თეატრში შუქი. ასე რომ, გამომსვლელმა პროჟექტორების შუქზე ოპტიმისტურად დაამთავრა თავისი სიტყვა. თუმცა იქამდე გულნატკენმა თქვა: ასე მეჩვენება ზოგი ოპოზიციური პარტია ჩვენს წინააღმდეგ უფრო მონდომებით იბრძვის, ვიდრე სააკაშვილის წინააღმდეგო.

თეატრში შუქის გამორთვასთან დაკავშირებით გამახსენდა ცესკოსა და მმართველი პარტიის წარმომადგენლების განცხადებები, რად გვინდა საარჩევნო უბნებში დენის გენერატორების დადგმა, ახლა უწყვეტი 24-საათიანი მომარაგებაა და ზედმეტი ხარჯი რატომ გავიღოთო. თქვენ დალოცვილებო, თუ სიენ-ენისა და მთელი დუნიის გამაოგნებელ ბათუმის ცენტრში, ერთადერთ თეატრში გამართულ მნიშვნელოვან აქციაზე წყდება ელექტროენერგიის მიწოდება, რა გარანტიაა, რომ არჩევნების დღეს ხულოს თუ მესტიის რომელიმე საარჩევნო უბანში დენი არ გაითიშება?

**კითხულობს, ალბათ, ამ სტრიქონებს რომელიმე მამალი გამყალბებელი და სიცილით კვდება, — შენმა მზემ არ გაითიშებისო.მეც მეცინება, რადგან ვიცი, რომ „ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ, იცის ყველა საიდუმლოო“.**

**ამირან კილურაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. ბათუმი**

◉ კაპიტალდაბანდება

# „ოქროს ფასი“ ოქრო



**ოქრო, სხვა ძვირფასი ლითონებისგან განსხვავებით, ერთგვარად „მარადიულია“. იგი გამუდმებით ბრუნვაშია იმ დროიდან მოყოლებული, რაც ლითონთა „მეფედ“ და საქონლის ეკვივალენტად გადაიქცა. მრავალი ათასწლეულის წინათ ოქროს მოპოვების ორიგინალური ხერხები ჰქონდათ მესოპოტამიელებს, ძველ ეგვიპტელებს, ინდოელებს, ჩინელებს, კოლუმბამდელი ამერიკის ინდიელებს, ქართველებს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მთელი ისტორიის მანძილზე ოქრო, სხვა წიაღისეულთან შედარებით, ძალიან მცირე ოდენობითაა მოპოვებული: მკვლევართა გამოთვლით კაცობრიობის არსებობის მანძილზე მოპოვებული მთელი ოქრო რომ გადავადნოთ, მისგან მხოლოდ 18 მეტრი სიგრძის გვერდის მქონე კუბის ჩამოსხმა იქნება შესაძლებელი.**

ოქრო ყველგან არის — ნიადაგში, მთის ქანებში, მსოფლიო ოკეანეში, თუმცა, თუ საბადოებს არ ჩავთვლით, ძალიან მწირედ: დედამიწის ქერქის ნივთიერების ერთი ტონა სულ ოთხ მილიგრამ ლითონს შეიცავს, ამიტომაცაა, რომ მას „ოქროს ფასი“ აქვს.

ჩვენს ყოფაში ოქრო სამი სახეობით არსებობს: ცენტრალიზებულით (მონეტარულით, ზოდებითძ, მოსახლეობაში დაგროვებით (მას ტეზავრაციულს უწოდებენძ, ასევე საიუველირო ნაკეთობების, კბილის პროთეზების და საწარმოო (უმეტესწილად ხელსაწყოებში ელექტროდების სახითძ.

ბოლო დროს ოქროს ფასმა მნიშვნელოვნად მოიმატა: მსოფლიო ბაზარზე ეგრეთ წოდებული „ტროას“ უნციის (31,1 გრამიძ ფასმა 1000 დოლარს გადააჭარბა. არადა, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ოქროში ფულის დაბანდებას პერსპექტიულად არ მიიჩნევდნენ. თუმცა, ექსპერტთა განცხადებით, ყველაფერს ხაზი ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გადაუსვა, რომლის გამო **ამჟამად მრავალი ქვეყნის ცენტრალური და მსხვილი ბანკები, დოლარის კურსის ვარდნით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად, ფულს ოქროში აბანდებენ**. თუ რამდენად მომგებიანია ეს ფინანსური ოპერაცია, ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ბანკებს ოქროს ბაზარზე ერთ დღეში ორი პროცენტის მოგება შეუძლიათ, ხოლო მეორე ის, რომ შარშან წლის მიწურულს ინდოეთის ბანკმა მარტო ერთ დღეში 200 ტონა (!ძ ეს კეთილშობილი ლითონი შეიძინა! ამიტომაც არის, რომ საფონდო ბირჟაზე ოქროთი მრავალი სპეკულაციური ოპერაცია ხორციელდება, რის გამოც ცოტა ხნის წინათ უნცია ოქროს ფასი დაახლოებით 1200 დოლარი იყო. თუმცა წლის დამდეგს უნცია ლითონი 1100 დოლარი ღირდა.

ოქროს ზოდების გამოშვების უფლების მოპოვება იმისთვისაა საჭირო, რომ ზოდები სავსებით კონკრეტულ პარამეტრებს (ზომას, წონას, ლითონის სისუფთავის ხარისხს, ასევე ზოგიერთ სხვასძ უნდა აკმაყოფილებდნენ, რაც მათ ჩამოსხმა-შენახვის პირობებთანაა დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ, ზოგადად, **ოქროს ზოდი შენახვის განსაკუთრებულ პირობებს საჭიროებს — მას არც ნაკაწრები უნდა ჰქონდეს, არც გახეხილი უნდა იყოს.**

ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ოქროს ზოდების ფასი უფრო ნელი ტემპით მატულობს, ვიდრე საფონდო ბირჟაზე, თანაც მათი გაყიდვის დროს მფლობელმა დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს. ამდენად, თუ ოქროს ფასის ზრდა ამ დანაკარგს ვერ აანაზღაურებს, ზოდის გამყიდველი ფიზიკური თუ იურიდიული პირი წაგებული დარჩება.

ამჟამად ოქროს საიუველირო ნაკეთობის ფასი კი იზრდება, მაგრამ მათი გაყიდვის მოცულობა კრიზისის გამო ერთობ შემცირებულია. საიუველირო ნაკეთობათა ფასის მატება კი იმითაა გამოწვეული, რომ მწარმოებლებმა ნედლეულის ფასის მატების ხარჯის კომპენსირება უნდა შეძლონ. ვინმეს შეიძლება აზრი გაუჩნდეს, რომ დღესდღეობით შეძენილი ოქროს საიუველირო ნაწარმის გაყიდვა, ვთქვათ, ერთ წელიწადში, უფრო მომგებიანად იქნება შესაძლებელი, მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან მის გაყიდვას არა თუ მოგებით, არამედ შეძენის ფასადაც ვერ შეძლებს იმ მიზეზით, რომ მასში იუველირის შრომის საფასურიც შედის.

ამდენად, უფრო მეტი აზრი აქვს ფულის ოქროს მონეტებში დაბანდებას, რაც დამატებული ღირებულების გადასახადს არ საჭიროებს, მათი ფასი კი დაახლოებით ოქროს ზოდების შემცველი ლითონის ფასის ტოლია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც ეს გზაა დიდად მომგებიანი: მართალია ბანკები ოქროს მონეტებს კი ყიდულობენ, მაგრამ ლითონის იმ კურსით, რომელიც პირველადი გაყიდვის ფასთან შედარებით საკმაოდ დაბალია.

მაშ, როგორ დავაბანდოთ კაპიტალი? — იკითხავთ თქვენ. თუმცა ვიდრე ამაზე დავფიქრდებოდეთ, მოდით, ჯერ დასაბანდებელი ფული ვიშოვოთ, ბატონებო, მერე კი ამ საკითხზე ვიფიქროთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ინფორმაცია თემაში

***ქართული საინვესტიციო ოქროს მონეტების ფასი სადღეისოდ სტაბილურია. ბოლო ინფორმაციის თანახმად, ახლო მომავალში საქართველოს ეროვნულ ბანკს ოქროს ზოდების გამოშვების უფლებას მიანიჭებენ, რაც საფონდო ბაზარზე კაპიტალდაბანდების ახალი, მიმზიდველი საშუალება იქნება.***

ხმა ევროპის გასაგონად!

**ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს
ბ-ნ ტურბერნ იაგლანდს,
ევროპარლამენტის თავმჯდომარეს
ბ-ნ ეჟი ბუზეკს,**

**ევროპის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ჟოზე ბაროზუს,**

**ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ქ-ნ ქეთრინ ეშტონს,**

**პატივცემულო ბატონო ტურბერნ იაგლანდო!
პატივცემულო ბატონო ეჟი ბუზეკ!
პატივცემულო ბატონო ჟოზე ბაროზუ!
პატივცემულო ბარონესა ქეთრინ ეშტონ!**

# ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში საგანგაშო ხასიათს იძენს!..

## პოლიტიკური პატიმარი აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია ციხიდან ევროკავშირის ხელმძღვანელობას მიმართავს



ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში, როგორც ევროსაბჭოს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნისა, დღესდღეობით კითხვის ქვეშ არ დგას.

ეჭვსგარეშეა, რომ ამ პრობლემამ საქართველოში საგანგაშო ხასიათი შეიძინა და ევროსაბჭოს მხრიდან მისი შეუმჩნევლობა ნიშნავს ევროპული ღირებულებების უარყოფას, რომელთა საფუძველში ძევს დემოკრატია ისევე, როგორც ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების მხარდაჭერა და შემდგომი განხორციელება.

საქართველოში ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პოლიტიკური პატიმრების არსებობა, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 100 კაცს შეადგენს და, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან პოლიციისა და პროკურატურის მიერ შეთითხნილი (ფალსიფიცირებული) მასალების საფუძველზე (ძირითადად თითქოსდა ნარკოტიკული ნივთიერებების და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისთვის, რომლებიც თვით პოლიციელების მიერ არის ჩადებული), გასამართლებულნი არიან მთავრობის მთლიანი კონტროლის ქვეშ მყოფი სასამართლოებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს. საქმე იმაშია, რომ პოლიტპატიმრებად აღიარებული პირები აისბერგის მწვერვალია. თუ დავუმატებთ, პოლიციის მხრიდან დევნას, აგრეთვე პოლიტპატიმრების თანამოაზრეების და ნათესავების შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებებს, ეს რიცხვი რამდენიმე ასეულამდე გაიზრდება, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით საშუალებას იძლევა გავუთანაბროთ ისინი პოლიტიკურ პატიმრებს, რადგანაც არსებითად ეს ადამიანები დაზარალდნენ საქართველოში არსებული ანტიდემოკრატიული ტოტალიტარული რეჟიმის გამო, რაც უფრო მეტად პოლიციურ-პოლიტიკურ ხუნტას გვაგონებს. და აქ საქმე არა მხოლოდ და არა იმდენად საქართველოს პრეზიდენტ, ბატონ მ. სააკაშვილშია, რამდენადაც ჩამოყალიბებულ სამთავრობო ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში, რომელიც აკონტროლებს ნარკოტიკების სატრანზიტო გზას აზიიდან ევროპაში და პროსამთავრობო მონოპოლიზირებული კომპანიების გადასახადისგან თავისუფალ ფულად ნაკადს, მათ შორის, ადგილობრივი ბიზნესმენებისგან ქრთამის აღება და გამოძალვა. სწორედ ამ საშუალებებით არის შექმნილი ფარული უკანონო შეიარაღებული „სპეცფორმირებები", რომელთა საშუალებითაც მთავრობა ახორციელებს მოსახლეობის მასობრივ დაშინებას. სახელდობრ, ამ შეიარაღებულმა სპეცდანაყოფმა უკანონოდ დამაკავა და დამაპატიმრა მე სასამართლოს სანქციის გარეშე და იმის ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, რომ ჩაედოთ კალაშნიკოვის ავტომატი და ორი ხელყუმბარა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების, აზრის გამოხატვის თავისუფლების, პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლების, თავისუფალი არჩევნების თავისუფლების, მეწარმეობის თავისუფლების არარსებობა, სხვაგვარად მოაზროვნეების დევნა საქართველოში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომელიც შენიღბულია ყოფილ საბჭოთა სივრცეში ანტირუსული „დემოკრატიისთვის მებრძოლის" სამთავრობო აზრით. ყოველივე ამან მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია გატარებული პოლიტიკის მიმართ, რასაც დაემატა რუსეთთან პროვოცირებული სამხედრო კონფლიქტი, რომლის შედეგადაც საქართველომ დაკარგა „დე იურე" თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი (მიიღო დამატებით 50 ათასი ლტოლვილი უკვე არსებულ 300 ათასის გარდაძ და არ არსებობს მათი დაბრუნების არავითარი მოტივი ჩამოშორებული რეგიონების – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურ მოსახლეობასთან მოლაპარაკების გარდა ევროპის თანამეგობრობის გარანტიების საფუძველზე რუსეთის მონაწილეობით.

ოფიციალური სამთავრობო სტატისტიკის ინფორმაცია საქართველოში საქმეების მდგომარეობის შესახებ სიცრუეა და ადვილად გასაგებია, რომ ეს კეთდება მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის არსებული რეჟიმის შენარჩუნების მიზნით. საქართველოში ამჟამად მსჯავრდებულთა რიცხვი 50 ათას კაცზე მეტს შეადგენს. ასობით ადამიანი მსჯავრდებულია ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამორიცხულია, ბევრ საპატიმროში პატიმრებთან დამოკიდებულება არის არაადამიანური, დამამცირებელი, მათ შორის, ჩემს მიმართაც. ამ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, მაგრამ გამოძიება არ მიმდინარეობს. უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში 200 ათასზე მეტი ადამიანი იქნა მიცემული, რაც თავისთავად საგანგაშო რიცხვია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობა 3.5 მლნ. კაცს არ აღემატება, რაც იმით არის გამოწვეული, რომ იძულებითი ემიგრაციით რუსეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში დაახლოებით 2 მლნ. ადამიანი არის წასული ზემოთ მითითებული მიზეზებისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო.

პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მთავრობის მიერ შეთითხნილ ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენს მოსახლეობისგან სახსრების „დაკანონებული" გამოძალვა პროცესუალური შეთანხმების წესით, რომელიც მიღებულია კანონით ჩადენილ დანაშაულთან შეფარდებით მისი გამოყენების კრიტერიუმების გარეშე და ნებაყოფილობით-იძულებით გადახდევინებით, რაც მოწმობს კორუფციულ გამოყენებაზე და, როგორც წესი, იხარჯება ბიუჯეტგარეშე რეგულირებაზე. ე.წ. შავი ფული მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექება, რამაც წინასწარი გაანგარიშებით უკვე შეადგინა 1 მილიარდი დოლარი, ხოლო თანხის ნაწილი საერთაშორისო თანამდებობის პირების მოსყიდვაზე იხარჯება.

საქართველოს სისხლის სამართლებრივ-პროცესუალური კანონმდებლობა აშკარად და დაუფარავად ეწინააღმდეგება ევროპის კონვენციის და ევროსაბჭოს წესდების იმპერატიულ მოთხოვნებს, პირველ რიგში, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის უფლებების დაცვის სფეროში და არსებითად რეპრესიულ კანონმდებლობას წარმოადგენს, ხოლო პროსამთავრობო სასამართლო სისტემა პრაქტიკულად უარყოფს ევროკონვენციის ნორმების გამოყენებას. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა ბოროტად იყენებს ევროპის სტრასბურგის სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცედურას, ხოლო ბევრ შემთხვევაში თავისი წარმომადგენლის საშუალებით შეცდომაში შეჰყავს სასამართლო, რის გამოც საკუთარი სარგებლობისთვის საქმეთა განხილვა წლების მანძილზე (5 – 7 წელიძ გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში წინასწარი განზრახვით უკანონოდ არიან იზოლირებული მთავრობისთვის მიუღებელი პირები. ამასთან, უკანონოდ გასამართლებული პირების უმრავლესობას არ აქვს შესაძლებლობა, მიმართოს ევროპის სასამართლოს.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი დაცვითი პოსტულატი, რომელსაც ფართო რეკლამირებას უკეთებს, არის ის, რომ თითქოს ევროსაბჭო და ევროკავშირი მთლიანად უჭერს მხარს გატარებულ პოლიტიკას, რაც მოსახლეობაში გაუგებრობას იწვევს და ძირს უთხრის საერთოდ აღიარებული ევროპული ღირებულებებისადმი მოსახლეობის ნდობას. ანტიდემოკრატიული სამთავრობო რეჟიმის დამყარება, ისევე, როგორც საქართველოში მოქალაქეთა უფლებების დარღვევა, სამწუხაროდ, შესაძლებელი გახდა ნებაყოფილობითი თუ არანებაყოფილობითი სიჩუმის, ან ევროსაბჭოს ქვეყნებში, აგრეთვე როგორც საკუთრივ ორგანიზაციაში, ასევე მის უფლებამოსილ სტრუქტურებში ინფორმაციის უქონლობის მიზეზით. ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობას ექმნება შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ ევროსაბჭო და ევროპარლამენტი ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას. მე, როგორც ქართველი, არ ვარ დაინტერესებული, რომ უარყოფითად დავახასიათო ჩემი სამშობლო და ჩემი მთავრობა, მაგრამ არსებულ მდგომარეობაზე თვალის დახუჭვას დანაშაულად მივიჩნევ.

მოქალაქეთა უფლებების დარღვევა საქართველოში სინამდვილეში საშიშ ხასიათს იღებს, რაც შეიძლება გადაიზარდოს მოსახლეობის მასობრივ პროტესტში ძალადობის და არეულობის გზით და არ იქნება საუკეთესო მაგალითი „ვარდისფერ-ნარინჯისფერტიტას რევოლუციების" მწკრივში. ეს რომ არ დავუშვათ, გთხოვთ, თქვენ, როგორც თანამდებობის პირებს, რომლებიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობთ, მიიღოთ საგანგებო ზომები, მიაქციოთ ყურადღება და მოითხოვოთ საქართველოს მთავრობისგან ევროსაბჭოს პრინციპების ხელშეუხებელი დაცვა: პატიმრობიდან პოლიტიკური პატიმრების და მათთან გათანაბრებული პირების განთავისუფლება, ამ და საქართველოში დემოკრატიის დარღვევის სხვა საკითხების განხილვა თქვენი უფლებამოსილების ჩარჩოებში, ევროპის კომისიის და ევროპარლამენტის სხდომების დღის წესრიგში შეტანა ევროპის კონვენციის 52-ე, 53-ე და 54-ე პუნქტების და ევროსაბჭოს წესდების 3, 7, 8, 13, 15, 16 პუნქტების შესაბამისად, სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად.

**დასასრულს, დამრთეთ ნება, გამოვთქვა პოლიტიკური პატიმრების საერთო აზრი:**

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ევროპის სტრასბურგის სასამართლოში ადამიანის უფლებების საქმეთა განხილვის პროცედურის რეორგანიზაცია დაჩქარების გზით პოლიტიკურ პატიმრებთან მიმართებაში, ისევე როგორც ევროსაბჭოს საკონტროლო მექანიზმების რეორგანიზაცია, რაც გამორიცხავს კორუფციული შეთანხმების შესაძლებლობას და ევროსაბჭოს წესდების და კონვენციის დამრღვევი ქვეყნის მთავრობის მხრიდან ბოროტად გამოყენებას.

2. მიგვაჩნია, რომ ევროპელი მეთვალყურეობის მისიის მონაწილეობა საქართველოში და თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რომელიც 2010 წლის მაისში გაიმართება, ქვეყანაში ასეულობით პოლიტიკური პატიმრის არსებობის პირობებში, ევროპული ფემიდის ნონსენსია და პატივს არ მიაგებს ევროსაბჭოს, ევროკავშირის და ევროპარლამენტის ავტორიტეტის ღირსებას. ამგვარ არჩევნებში ევროპელი მეთვალყურეების მონაწილეობა ეს არის დაფარული მხარდაჭერა და ფიქცია, რომელიც სჭირდება საქართველოს მთავრობას, რათა მოახდინოს მომავალი არჩევნების ფალსიფიკაციის ლეგიტიმიზაცია, ისე, რომ პოლიტიკური პატიმრები სწორედ ამ მიზნით იყვნენ იზოლირებულნი. ***ამიტომ, აუცილებელ და ქმედით, გამაფრთხილებელ ღონისძიებად მიგვაჩნია მომავალ არჩევნებში ევროსაბჭოს და ევროკავშირის მეთვალყურეების მონაწილეობისგან თავის შეკავება, სანამ არ იქნებიან განთავისუფლებულნი პოლიტიკური პატიმრები და მათთან გათანაბრებული პირები.***

ვლადიმერ ვახანია,
სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი
(პოლიტიკური პატიმარი)

მკაცრი რეჟიმის საპყრობილე №6,
რუსთავი, საქართველო

მკითხველთა თხოვნით

***ძვირფასო რედაქცია**, ჩვენ, თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე მცხოვრები რამდენიმე მამაკაცი — უკვე ხანშიშესული პენსიონერები, დილის საათებს „ალექსანდრეს ბაღში“ ვატარებთ ხოლმე. სასაუბრო და საკამათო თემას რა გამოლევს, უფრო პოლიტიკითაა გადატვირთული ჩვენი სჯა-ბაასი (პოლიტიკაზე კამათი ხომ, ვითომ, ადვილია), მაგრამ ხანდახან გამოერევა საკითხი, რომელშიც მაინცდამაინც არ ვართ გარკვეულები. აი, მაგალითად, იმ დღეს საუბარი ჩამოვარდა ე.წ. „აბრეშუმის გზაზე“ და „ტრასეკას პროექტზე“, რომლებიც, როგორც ვიცით, საქართველოცაა ჩართული, მაგრამ, ეს არის და ეს, აქ მთავრდება ჩვენი ცოდნა. ჰოდა, გადავწყვიტეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, რომლის აქტიური მკითხველებიც ვართ, ვთხოვოთ, რომელიმე სპეციალისტის დახმარებით ამომწურავად გაგვიშუქოს ეს თემა, კერძოდ, როგორ დაიწყო აბრეშუმის გზის ისტორია, რა სიკეთე მოუტანა მან მრავალ ქვეყანას და ასე შემდეგ.*

*წინასწარ გიხდით მადლობას — თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველები, თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებნი: **მიხეილ მურვანიძე, ბონდო მექიაშვილი, თეიმურაზ მესხიშვილი**...*



თამაზ შალიკაძე

# გზა, რომელიც სიკეთეს მოუტანს საქართველოს

მკითხველთა თხოვნის უპასუხოდ დატოვება რა საკადრისია და ჩვენც გადავწყვიტეთ საკითხზე — „ისტორიული აბრეშუმის გზა და საქართველო“ — სასაუბროდ მოგვეწვია ბატონი **თამაზ შალიკაძე** — საგზაო საქმის დიდი სპეციალისტი, დამსახურებული ინჟინერი და გამომგონებელი, მეცნიერების და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დოქტორი, პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, გენერალური დირექტორი საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტისა (შპს „საგზაომეცნიერება“), სადაც შექმნილი მრავალი პროექტის საფუძველზე შენდება გზები ჩვენს ქვეყანაში. აქვე ვიტყვით, რომ ეს ის ინსტიტუტია, რომელმაც ბოლო ხანებში დააპროექტა და დღეისათვის თბილისში უკვე შენდება სამანქანო გზა გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე მდინარე ვერეს ხეობაში, ასევე, გზა ინტენსიფიკაციის ქუჩიდან გოძიაშვილის ქუჩამდე დიღომში. გარდა ამისა ინსტიტუტმა გაამზადა წინასაპროექტო სამუშაო (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებაძ თბილისი-რუსთავის გზის ავტობანის მშენებლობისა, რაც უკვე განიხილა მთავრობამ და დაამტკიცა ერთ-ერთი ვარიანტი... ინსტიტუტმა აგრეთვე შეასრულა თბილისი-მარნეულის ოთხზოლიანი გზის წინასაპროექტო სამუშაო. აი, ამ საშვილიშვილო საქმეებით დატვირთული დაწესებულების ხელმძღვანელია ბატონი თამაზი — უზადო მამულიშვილი, მართლაც ნაღდი თბილისელი, მისი საპატიო მოქალაქე, ახლობლების, სამეგობროს გაჭირვების ტალკვესი და გვერდში მდგომი. მოკლედ, პიროვნება ისეთი, როგორსაც, ალბათ, ჩვენი ძვირფასი მურმან ლებანიძე ნატრობდა, როდესაც წერდა: **„კაცი მომცა, ღონდებოდეს, ქვეყნის სატკივარი სჭირდეს, ჭიქა მიეწოდებოდეს, დალაპარაკება ღირდეს“.**

ჰოდა, ძვირფასო მკითხველებო, მოვუსმინოთ ბატონ **თამაზ შალიკაძეს:**

— ის, რაც თქვენ გაინტერესებთ, მეგობრებო, ძალიან შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ისტორიულად არსებული სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო სავაჭრო გზათა სისტემა კავკასიაზე გადიოდა. სწორედ ამ გზის მეშვეობით ხორციელდებოდა საერთაშორისო კავშირები ძველი აღმოსავლეთის სამყაროსა და ევროპის ტერიტორიის მოსახლე ხალხებს შორის.

უფრო გვიან, ე.წ. ელინისტურ ხანაში (ძვ.წ.მეოთხე-პირველ საუკუნეებშიძ და ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებში, ამიერკავკასიაზე გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ინდოეთს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან აკავშირებდა. ამიერკავკასიაში ეს გზა კასპიის ზღვიდან მტკვარს მოჰყვებოდა, გადაივლიდა ლიხის მთაზე და ყვირილა-რიონით ფოთში ჩადიოდა.

ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა,რომელიც ჩინეთს შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა, ოდითგანვე **„აბრეშუმის გზის“** სახელით იყო ცნობილი. საიდან მიიღო ამ გზამ ეს სახელწოდება, შეიძლება იოლად დავადგინოთ, თუ გადავხედავთ თვით აბრეშუმის წარმოშობის ისტორიას და თვალს გავადევნებთ აბრეშუმით ვაჭრობის განვითარებას.

მეაბრეშუმეობის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება, რადგან აბრეშუმის ქსოვილის მიღების წესი, რაც, კერძოდ, აბრეშუმის პარკიდან ჭუპრის ამოხოცვის მეშვეობით ძაფის ამოხვევას ითვალისწინებდა, მაღალხარისხოვან აბრეშუმს იძლეოდა. აბრეშუმის კულტურა ინდოეთშიც უძველესი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ აქ აბრეშუმის პარკიდან პეპლის გამოსვლის შედეგად იღებდნენ ძაფს, რაც მის შედარებით დაბალ ხარისხს განსაზღვრავდა, ამიტომ პრივილეგიას ჩინურ თეთრსა და ბრწყინვალე აბრეშუმს ანიჭებდნენ.

ინდოეთი ოდითგანვე ცნობილი იყო, როგორც ყვითელი ჯიშის გარეული აბრეშუმქსოვილის სამშობლო. სწორედ ეს აბრეშუმი ითვლებოდა ჩვენი შინაური აბრეშუმის წინამორბედად. როგორც ისტორიული წყაროებითაა ცნობილი, საქართველოში ძველად უმთავრესად თეთრი და ყვითელი ჯიშის „შინაური პარკის“ სახეობები მოჰყავდათ.

ჩინური აბრეშუმი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა კერძო ეროვნულ პროდუქტად და მხოლოდ ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში ხდება ექსპორტის საგანი. სწორედ ამ პერიოდში ინდოელებისთვის, ისევე როგორც იმ დროის სამყაროსთვის, ცნობილი ხდება ჩინური აბრეშუმი „ჩინაპატა“, რომელიც თავისი ხარისხით ბევრად აღემატებოდა ინდურს.

ანტიკურ ავტორებს (ჰეროდოტე, თეოფრასტე, სტრაბონი, სერვიუსი, პლინიუსიძ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ აბრეშუმზე და ის მცენარეულ ნაწარმად წარმოედგინათ.

ავტორებს შორის პირველი, ასე თუ ისე სწორი მითითება აბრეშუმის შესახებ გვხვდება არისტოტელესთან, რომელიც აბრეშუმს ცხოველური წარმოშობის პროდუქტად აღიარებს.

ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში დამყარებული ურთიერთობა ჩინეთსა და მის მეზობელ აზიის ხალხებს შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევ უფრო გაცხოველდა ცნობილი ჩინელი დიპლომატის შანტიანის შუა აზიაში მოგზაურობის (138-126 წ. ძვ.წ.ძ შედეგად, ჩინელები გაეცნენ დასავლეთის სამყაროს არალის ზღვამდე. ჰანის დინასტიის (ძვ.წ.206 ახ.წ.220 წძ უკანასკნელი მეფეების დროს ჩინელების წარმოდგენა დასავლეთზე იზრდება.

ძვ.წ. პირველ საუკუნეში მათ იცოდნენ რომის იმპერიის არსებობა, რომელსაც ისინი დაცინს უწოდებდნენ, მაგრამ მათი ცოდნა იმპერიის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილით შემოიფარგლებოდა, რომლის დედაქალაქად ანტიოქია მიაჩნდათ.

ძვ.წ. მესამე საუკუნიდან იწყება მსოფლიოს ვაჭრობა ჩინეთთან და ამ დროს იქმნება სწორედ ის ტრანზიტული გზა, რომელსაც **„აბრეშუმის დიდ გზას“** უწოდებენ.

საერთოდ, რომის იმპერიის ხანაში ჩინური აბრეშუმი ცნობილი ხდება ხმელთაშუა ზღვის სამყაროსთვის. ეს იყო მეტად ძვირფასი ქსოვილი, რომელიც დიდად ფასობდა და რომელიც ესოდენ სჭირდებოდა იმპერიას, როგორც ფუფუნების საგანი. არა მარტო აბრეშუმი შემოჰქონდა რომს ყოველწლიურად ჩინეთიდან, არამედ ოქროც, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ შორეულ წარსულში აბრეშუმი ოქროზე მეტად ფასობდა და მეტადაც გამოიყენებოდა.

შესაძლებელია, ზუსტად ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ამ გზას „აბრეშუმის გზა“ და არა „ოქროს გზა“ დაერქვა. სწორედ ამ გზის იმ მონაკვეთისთვის, რომელიც ახლო აღმოსავლეთზე გადიოდა, რომსა და ბიზანტიას ომები ჰქონდათ.

ამგვარი ცნობები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ძველ საქართველოში, სადაც გადაადგილება და ურთიერთობები ბევრად უფრო რთული იყო, მაინც უდიდესი ყურადღება ექცეოდა გზებსა და სავაჭრო-სატრანზიტო ურთიერთობებს. ამ პერიოდიდან ჩვენამდე ისეთმა სიტყვებმა შემოაღწია, როგორიცაა შარა, „მანძილი“, კერძოდ კი ირანის სამეფო გზებს „შარაჰშარა“ ეწოდებოდა, ხოლო ამ გზებს შორის საფოსტო სადგურებს — მაზილები, რისი შესატყვისიცაა ქართული სიტყვა მანძილი.

შუალედებში გზებს შორის არსებობდა სასტუმრო ასპინძები, აქედან მოდის სიტყვა „ასპინძა“, ანუ „მასპინძელი“. მაშინდელ ამ გზებზე დაცული იყო მცხოვრებთა და ვაჭართა უშიშროება.

აღმოსავლეთიდან დასავლეთში ძირითადად გაჰქონდათ: ძვირფასი ქვები, სპილოს ძვალი, პილპილი, ნელსაცხებლები, ძვირფასი ხის ჯიშები, სურნელოვანი ზეთები, აბრეშუმის ქსოვილები, ნედლი აბრეშუმი და აბრეშუმის ტანსაცმელი, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთში უმთავრესად შედიოდა კალა, ტყვია, ეგვიპტური და სირიული ძვირფასი ქსოვილები, ალექსანდრიისა და სირიის მიწის ნაწარმი და სხვა.

ამგვარად, სათანადო ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ აბრეშუმმა არა მარტო ცალკეული ქვეყნების ეთნოგრაფიულ განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ ამ ქვეყნების ეთნოგრაფიულ განვითარებისა და ვაჭრობის ჩამოყალიბებაში დიდი, თითქმის გადამწყვეტი როლი შეასრულა და, რა თქმა უნდა, ამგვარმა პირობებმა წარმოშვა იმ „აბრეშუმის დიდი გზის“ აუცილებლობა, რომლის ერთ-ერთი მონაკვეთი საქართველოზე გადიოდა და ამით ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ქვეყნებს შორის კავშირების დამყარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა.

„აბრეშუმის დიდი გზა“, რომლის აღორძინებაც დღეს მიმდინარეობს, ისტორიულად ჩინეთში — სანძიანში იწყებოდა და ქ.დუნხუანიდან ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისკენ. ორივე გზა შუა აზიაში, ქ.ყაშკარში იყრიდა თავს.

აქედან კი გზის ერთი — სამხრეთი განშტოება, ჩრდილოეთი შუამდინარეთის (ევფრატისა და ტიგროსისძ ქვეყნების, მათ შორის ბაბილონის გავლით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ანტიოქიაში ჩადიოდა.

რაც შეეხება გზის მეორე — ჩრდილოეთის განშტოებას, იგი ზემოთ დასახელებული გზის — კასპიის ზღვის, კავკასიის ალბანეთის — თანამედროვე აზერბაიჯანის, ქართლის (იბერიისძ, ეგრისის (კოლხეთისძ გავლით ჩადიოდა ქ.ფაზისში — ოქროს საწმისის კოლხეთის მთავარ ნავსადგურში.

მსოფლიო აბრეშუმის გზის აღორძინება, **TRACECA**-ს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული მოვლენაა XX და XXI საუკუნეების (მეორე და მესამე ათასწლეულებისძ გზასაყარზე, ამიტომ ამ გზასა მფარველობენ მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები, საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები და რადგან ეს გზა ოდესღაც საქართველოზე გადიოდა, სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია, რომ ისტორიული მსოფლიო პროექტის — აბრეშუმის დიდი გზის რეკონსტრუქციისა და აღორძინების ერთ-ერთი ავტორი საქართველოც გახლავთ. ეს პროექტი დღეს წარმატებით ხორციელდება ევროპის, ამერიკის, აზიის წამყვანი ქვეყნების, მსოფლიო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერით და დახმარებით. **TRACECA**-ს საერთაშორისო პროექტის მთავარი მამოძრავებელი ძალა ევროკავშირშია.

ამ გზის წარმოშობის საკითხი წამოიჭრა „ევროპის იდეის“, „აზიის იდეის“, „ევრაზიის იდეის“ დამუშავების პროცესში ევროპა-აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების ერთიან გეოგრაფიულ პროცესში გამაერთიანებელი პოლიტიკური იდეებისთვის ღია სივრცის შექმნის მიზნით.

ეს საკითხი ითვალისწინებს არა მარტო კავკასია-ევრაზიის სივრცეში საერთო ბაზრის შექმნას, არამედ გეოგრაფიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკურ სამართლებრივ სივრცეთა საერთო სახლის იდეას.

ეს იდეა ახალია და ამავე დროს ისევე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა.

კონტინენტების და ხალხების თავისუფალი ინტეგრაციის მიზნებს ემსახურება თანამედროვე საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო ტრანსპორტი და კოსმოსური კომუნიკაციები. სწორედ ამ იდეის რეალიზაციას ემსახურება **TRACECA**.

რას ნიშნავს აბრევიატურა **TRACECA**? ეს ნიშნავს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანს.

1993 წლის მაისში, ბრიუსელში ჩატარდა შეხვედრა ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების, ცენტრალური აზიისა (ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთიძ და სამხრეთ კავკასიის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტრასეკის პროგრამას. მიიღეს ბრიუსელის ცნობილი დეკლარაცია, რომელშიც გამოხატულია ევრაზიის 8 სახელმწიფოსა და ევროკავშირის ნება. პროგრამა ითვალისწინებდა ევროპიდან აზიისკენ შავი ზღვის გავლით, ცენტრალური აზიისა და შორეული აღმოსავლეთისკენ სატრანსპორტო დერეფნის შექმნას.

აქვე გადაწყდა, რომ ევროკავშირი დააფინანსებდა ამ პროგრამას. მთავარი ინვესტორები იყვნენ რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი და მსოფლიო ბანკი.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის — **TRACECA**-ს დაკავშირება ტრანსევროპულ და, მაშასადამე, მსოფლიო სატრანსპორტო კომუნიკაციებთან.

ამიტომ ტრასეკა წარმოადგენს უკვე არსებული, ადაპტირებული სატრანსპორტო მიმართულებების დამატებით მარშრუტს და არავის უქმნის სირთულეებს, ყველა ქვეყნისთვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

მრავალი სამუშაო შეხვედრები მიეძღვნა ტრასეკას და მის პრობლემებს 1995 წელს ალმა-ათაში,ამავე წელს ავსტრიაში (ვენაძ, 1996 წელს — იტალიაში (ვენეციაძ, ამავე წელს — საბერძნეთში (ათენიძ, 1997 წელს — თბილისში, სადაც მიღებული იქნა თბილისის კონვენცია, შეიქმნა ტრასეკას საერთაშორისო კომიტეტი.

1997 წლის ივნისში ფინეთში, ჰელსინკში ჩატარდა ტრასეკას პანევროპული კონფერენცია, რომელსაც საფუძვლად დაედო თბილისის კონფერენციის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

1998 წლის 15-17 აპრილს ქ.აშხაბადში საერთაშორისო საგზაო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა აბრეშუმის გზის აღდგენისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ტასისი, ტრასეკა, მსოფლიო ბანკი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აბრეშუმის გზასთან დაკავშირებული ქვეყნების (აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, ირანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, პაკისტანის, რუსეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, თურქეთის, კანადის, აშშ-ისძ ტრანსპორტისა და გზების სამინისტროების წარმომადგენლები, თურქმენეთში აკრედიტებული სხვადასხვა ქვეყნების ელჩები, კერძო სტრუქტურების ხელმძღვანელები და სხვა.

იხ. 9 გვ.

ხედვა შორიდან

# უწვერულვაშო ქერა მსაჯი და „სირობა“

## ისევ ჩვენს, მართლმადიდებლების სატკივარ-საწუხარზე

***„კავკასიის“ „ბარიერის“ 7 მაისის სკანდალურ გადაცემას და იქ განვითარებულ მოვლენებს ბევრი გამოეხმაურა, მათ შორის მეც. ამ გადაცემის თემას, რომელსაც პირობითად „ქრისტიანობის თავისუფლად მლანძღველები, მათი დამცველები და მართლმადიდებლები“ შეიძლება ვუწოდოთ, კიდევ დიდხანს ექნება მწვავე გამოძახილი ბევრი, სულ სხვადასხვა პოზიციებზე მდგომი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პარტიებისა და ადამიანების, ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის მხრიდან, და არა მხოლოდ „ერთი(!) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფის მხრიდან“, როგორც ეს ქ-ნ ნინო ჯანგირაშვილს სურს წარმოაჩინოს თავის 14 მაისის განცხადებაში. პირადად მე ხელმეორედ კალმის აღება იმისმა 11 მაისის ინტერვიუმ გადამაწყვეტინა. ამ ინტერვიუთი კიდევ ერთხელ გამჟღავნდა „კავკასიის“ მფლობელების ქრისტიანობასთან დამოკიდებულება.***

ნებისმიერი პიროვნების ესა თუ ის პოზიცია მისი მრწამსის ნებაა, შენიღბული პოზიცია — მისი სინდის-ნამუსის, სხვისი პიროვნული შეურაცხყოფაც ამ კატეგორიისაა, მაგრამ როცა მოსახლეობის მინიმუმ ორ მესამედს, რამდენიმე მილიონ ადამიანს კონკრეტული პირი თუ პირები აყენებენ შეურაცხყოფას და მათ რწმენას აგდებულად იხსენიებენ, ეს უკვე აღარაა ვინმეს მრწამსის ან სინდისის ნება, ეს უკვე ყოველი ჩვენგანის, ვინც თავს მართლმადიდებლად თვლის, ნებაა და უპირველესი ვალდებულებაც — ასეთ ვაიქართველებს თავისი ადგილი მივუჩინოთ პრესაში, ეკრანზე და ცხოვრებაშიც!

სრულებით არ არის აუცილებელი ისეთი განაჩენის გამოტანა, როგორიც მაჰმადიანებს გამოაქვთ მუჰამედის და ყურანის შეურაცხმყოფელი მწერლებისა და მხატვრებისთვის. სავსებით საკმარისი იქნება მათი დაგმობა საზოგადოების მხრიდან. რასაკვირველია, არავინ არ უნდა ისარგებლოს „სულაკაურის“ და მსგავსი გამომცემლობებით. ასეთ ადამიანებს საქართველოში სასათბურე პირობები არაფ-



რის დიდებით არ უნდა შევუქმნათ, ისინი იძულებულნი უნდა გავხადოთ, მსგავსი „მოღვაწეობა“ მხოლოდ უცხოეთში გააგრძელონ, სადაც ე. წ. „სიტყვის თავისუფლების“ დამცველები, ალბათ, თავზედაც გადაუსვამენ ხელს. **თუ დროზე და ძირიანად არ ამოვძირკვეთ დეისაძისთანა პათოლოგიურად მოაზროვნეები და წავუყრუეთ, დავილუპებით, ძალიან ძნელი გახდება მომრავლებულ სარეველებთან ბრძოლა.**

ახლა უშუალოდ ქ-ნ ჯანგირაშვილს მივუბრუნდეთ. მას რომ ვუყურებდი ბოლო გადაცემებში, განსაკუთრებით კი შვიდ რიცხვში, ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტის, განსვენებული გიგლა ფირცხალავას ნახევარი საუკუნის წინანდელი ერთი ნახატი მახსენდებოდა ჟურნალ „ნიანგიდან“. ჩემი თაობის ფეხბურთის მოყვარული მამაკაცებიდან ბევრს ემახსოვრება ის — მინდვრის ცენტრში მდგარი ორი გუნდი და მათ შორის — მსაჯი. ერთ მხარეს 11 შავტუხა ულვაშებიანი (იგულისხმებოდა ქართველი) ბიჭი, და მეორე მხარეს — 11 უწვერულვაშო ქერა (რა თქმა უნდა, რუსი) ფეხბურთელი. მსაჯი მხოლოდ ფორმით გამოირჩეოდა მათგან, შესახედაობით კი იგი მეორე მხარის ტყუპისცალივით გამოიყურებოდა — ისეთივე უწვერულვაშო და ქერა! ნახატს ქვეშ ჰქონდა წარწერა — „უსიტყვოდ“, შინაარსი ყველასათვის გასაგები იყო.

ეს ისე, ასოციაციებს და წამყვანის ობიექტურ არბიტრობას რაც შეეხება. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ქ-ნ ჯანგირაშვილის აშკარად „სირობის“ დამცველების მხარეზე დგომა (წამყვანისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი) კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ როდესაც მასონი, მალტის ორდენის კავალერი ბექა მინდიაშვილი კრიმინალებს და ფაშისტებს უწოდებს „სახალხო მართლმადიდებლურ მოძრაობას“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“, მას, როგორც წამყვანს, მინიმუმ შენიშვნა მაინც უნდა მიეცა მინდიაშვილისთვის და განემარტა, რომ ასე ხელა-ლებით ყველასთვის დაუსაბუთებელი იარლიყების მიკერება, რბილად რომ ვთქვათ, ზრდილობის ფარგლებს სცილდება. იგი ხომ მშვენივრად ხვდებოდა, რომ ბატონი მინდიაშვილი შეურაცხყოფას აყენებდა არა მარტო ამ ორგანიზაციის წევრებს (თუმცა არც ესაა ცოტა!), არამედ ზოგადად ყველა ქრისტიანს, მაგრამ ჯანგირაშვილის ქალი იმდენად იყო ეშხში შესული, რომ თავისი უფლე-



ბა-მოვალეობა სადღა ახსოვდა. მას, როგორც ტელეკომპანიის მფლობელს, ალბათ, ჰგონია, რომ გადაცემის წაყვანის წესების დაცვა მისთვის არ არის სავალდებულო.

სხვათა შორის, ქ-ნ ჯანგირაშვილის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ქრისტიანული მოძრაობების მიმართ დისკუსიის დაწყებამდეც გამოჩნდა — გადაცემის წინ გაშვებული კადრების კომენტირების დროს, და ეს პოზიცია მან კიდევ ერთხელ 11 მაისის ინტერვიუში დაადასტურა — ჟურნალისტის შეკითხვაზე, მიიწვევდნენ თუ არა იმ დღის „ბარიერში“ 7 მაისის გადაცემით შეურაცხყოფილ ქ-ნ ბაია ამაშუკელს, „კავკასიის“ მფლობელმა ასეთი პასუხი გასცა: **„ვერავინ ვერ გაბედავს მოვიდეს აქ და მითხრას: მომიწვიე ეთერში, ვერც ხელისუფლება, ვერც ოპოზიცია, ვერც მართლმადიდებლური მოძრაობა და ვერც კრიშნაიდული მოძრაობა...“** კადრს ეტყობა, რომ გაწყვეტილია, ალბათ, შემდეგი სიტყვები ეთერში გასაშვები არ იყო.

ქ-ნი ჯანგირაშვილის ამ წინადადებიდან ჩანს, რომ მისთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ ვინ ითხოვს სიტყვას — ქრისტიანი თუ კრიშნაიდ-იეღოველი, უსამართლოდ ჩირქმოცხებული მართლმადიდებელი თუ რომელიმე სექტის წარმომადგენელი; მისი აზრით, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ყველანი ხომ თანასწორები(!) ვართ. მან, რა თქმა უნდა, „არ იცის“, თუ საიდან და ვინ აფინანსებს ამ სექტებს და როგორ, რა მეთოდებით ხდება სილატაკეში მყოფი გაჭირვებული მართლმადიდებლების გადაბირება, „არც ის იცის“, თუ რა მიზანს ემსახურება სექტებზე ასე ზრუნვა, და „ვერც იმას ხვდება“, თუ ვისი საქმე კეთდება „საიდუმლო სირობით“ და ამ „სირობის“ დაცვით.

ჯანგირაშვილისთვის სულერთია-თქო, ზემოთ ვთქვი, მაგრამ „ცოტა“ შემეშალა — 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, სულერთი ნამდვილად არ არის — სწორედ იეღოველებს და სხვა სექტანტებს არ გასცემს იგი უპატრონოდ ხმას და ვერც მათ აგდებულად მოხსენიე-ბას გაბედავს — ხომ შეიძლება უმცირესობათა უფლებების დარღვევა დასწამონ, რას იტყვიან დასავლეთში ან ლიბერალიზმში პედერასტობამდე მისული ქართველი „ლიბერასტები“ (მალხაზ გულაშვილის ზუსტად მისადაგებული ტერმინი), ხომ მოეჭრა თავი! **ის კი, თუ რას იტყვის მართლმადიდებელი ქართველი ერი, მას სრულებითაც არ ანაღვლებს, სულერთი სწორედ ეს არის მისთვის!** მიწვეულ სტუმარს, სტუდიაში მყოფ(!) ლევან ჩაჩუას არ ათქმევინა ერთი სიტყვა მთელი გადაცემის მანძილზე ქ-მა ნინომ და გარედან მთხოვნელ ბაია ამაშუკელს (ან სხვა ქრისტიანს) მიუშვებს იგი თავის **საკუთარ, მაგრამ უკვე „გაყიდულ“, ანუ გაშიფრულ ტელევიზიაში?!**

სიტყვის თავისუფლებაზე რომ გაჰკივიან და დემოკრატია-ლიბერა-



ლობაზე დებენ თავს, **აბა ერთი, თუ მართლა ვაჟკაცები არიან, ლიბერალობის ხარისხის და განსხვავებულ აზრთან დამოკიდებულების შესამოწმებლად, დეისაძის „სირობის“ მაგვარი რამ გამოსცენ იეღოვაზე ისრაელში (ან ნებისმიერ, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებულ სახელმწიფოში) და ტელ-ავივის რომელიმე უნივერსიტეტში მოაწყონ მისი პრეზენტაცია, მხოლოდ სცადონ(!)** და დააკვირდნენ რა რეაქცია მოჰყვება ყველაფერ ამას. განა საინტერესო არ უნდა იყოს ეს სიმართლის მაძიებელი, სიტყვის თავისუფლების და განსხვავებული აზრის დამცველი კაცისთვის?! თუ საკრიტიკო, მათი ჭკუით, მარტო ქრისტეს და ქრისტიანებს მოეძებნებათ?! (მუსლიმანურ ქვეყნებში მუჰამედთან დაკავშირებით ანალოგიური ცდის ჩატარებას არ ვითხოვთ, რა „ჩიტსაც დაიჭერენ“, წინასწარვე ცნობილია).

მაგრამ ჩვენი „ლიბერასტები“ მთლად სულელები კი არ არიან, მსგავსი ექსპერიმენტი ჩაატარონ! მათ იციან (გაფრთხილებულებიც იქნებიან!), რომ ასეთი ექსპერიმენტის არათუ განხორციელებას, არამედ მასზე ენის დასველებასაც კი დიდი რისხვა მოჰყვება მამა-მარჩენლების მხრიდან — დაფინანსების შეწყვეტასთან ერთად, ადვილი შესაძლებელია, მაჰმადიანების ჩიტზე უკეთესი ჩიტიც დააჭერინონ. ამიტომაც, ეს შინაურებთან გულადი „ლიბერასტები“ რაღა სახიფათო კლასგარეშე სამუშაოსთვის აიტკივებენ თავს, როცა ადვილი, თან კარგად დაფასებული(!) **საშინაო დავალება აქვთ დასამთავრებელი — მართლმადიდებლობის დაცინვა, მისი ჩვენება ჩამორჩენილ, უარსაყოფ რელიგიად, ხოლო მისი მიმდევრების გიჟებად, ფანატიკოსებად გამოყვანა.** შენ თანამდებობა და ფულები მაიტა (გინდა ქეში, გინდა გადმორიცხვით) და ქრისტიანობის ლანძღვა-გინებას რა უნდა — არც არავინ გაგილანძღავს და ვერც ვერავინ გაგცემს უპატრონოდ ხმას. „ჩიტების დაჭერა“ ხომ, საერთოდ, გამორიცხულია! თუ ვინმე ხმის ამოღებას გაბედავს, მაშინ ნაპატივები სოროსისტები, ლიბერასტები და ეკლესიაში საჩვენებლად მოსიარულე „ქრისტიანებიც“ ისე ერთსულოვნად დაირაზმებიან და აამუშავებენ პროპაგანდის მანქანას (სამთავრობოსაც და აქამდე ოპოზიციურად ცნობილსაც), რომ ჭეშმარიტ ქრისტიანს რამის სათქმელად არსად არ მიასუნინებენ (ამ კატეგორია ხალხის აქტივისტებს ისეთი ტრენინგები აქვთ გავლილი ლოიალობაზე, რომ „ზემოდან“ თუ „გარედან“ ბევრი მითითება არც სჭირდებათ. აბა, მილიონებს ისე ვინ მიაშავებს!)

ფიზიკური გადაშენების საფრთხის წინაშე ბევრჯერ მდგარა ქართველი ერი, მისი გადაჯიშებაც ბევრჯერ უცდიათ დამპყრობლებს და ნაწილობრივ მიუღწევიათ კიდეც — ხან გადასახლებით და ხანაც — ძალით გათათრებით, მაგრამ ჩვენი გადაგვარება ვერასდროს ვერ შეძლეს, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ისეთი პერიოდი,




რომ თუნდაც დამარცხებულ, მტრისგან გაუბედურებულ ქართველებს ქრისტე ეგინებინოთ და ამაში ქართველ მეფეებს (ერთს მაინც!) აებას მათთვის მხარი. პირიქით, ერის და ბერის, სამეფო კარის და ეკლესიის ერთად დგომით ყოველთვის წელში ვიმართებოდით და „ალგეთის ლეკვებიც“ გვეზრდებოდნენ. **1700 წელი ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენი ქართველობა, რაც რამ სატრაბახო დღეს გაგვაჩნია, ქრისტიანობის დამსახურებაა, მაღალმა სულიერებამ შეგვინახა და არა ვინმეს გადმოგდებულმა მსუყე ლუკმამ** (ხშირად ვივიწყებთ, რომ ასეთი ლუკმა ყოველთვის კაუჭზეა წამოცმული, რომელი კაუჭიც ყოველი ლუკმის მადიანად გადასანსლვაზე სულ უფრო ღრმად და სამუდამოდ გვერჭობა ლაყუჩებში!).

დღეს კატასტროფის წინაშე ვდგევართ, მრევლის მატებამ და ეკლესიების შედარებითმა სიმრავლემ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და სიფხიზლე არ უნდა მოგვიდუნოს. **არავითარი ეკლესიების შენება არ გვიშველის, თუ მასონსატანისტები გაჯეჯილდებიან და მოგვიმრავლდებიან საქართველოში, თუ პათოლოგიური მიდრეკილებების მქონე დეისაძის „სირობისთანა“ ნაწარმოებებს „განსხვავებული აზრის“ დაცვის საბაბით ქომაგები გამოუჩნდებიან პედაგოგ-მწერალ-პოლიტიკოსების რიგებიდან, და თუ ხელისუფლებაც მათ ფარულ ან აშკარა მხარდაჭერას აღმოუჩენს.**

თუ ხელისუფლებამ მართლმადიდებლობას არ მიხედა, თუ არ დაიცვა იგი უწმინდური სატანისტებისგან, არანაირი ეკონომიკური პროგრამა არ დაგვიცავს გადაგვარებისგან. ამიტომ, ვითარების განჯანსაღება, პირველ რიგში, ხელისუფლების ცვლით უნდა დაიწყოს. **სანამ მართლმადიდებლობაზე ორიენტირებული ხელისუფლება არ გვეყოლება, იმედი გადაწურულია!** არ არის აუცილებელი მხოლოდ ჩრდილოეთისკენ ან მხოლოდ დასავლეთისკენ ყურება, შეიძლება და უმჯობესიცაა ჩრდილო-დასავლური მიმართულება, მაგრამ მთავარი ორიენტირი უნდა გახდეს მართლმადიდებლობა — ბევრად უმჯობესია მორწმუნეებთან ერთად ურწმუნოებიც ანუ ათეისტებიც გვყავდეს საკმაო რაოდენობით საქართველოში, ვიდრე — თუნდაც მცირე ნაწილი ქრისტეს და ქრისტიანობის მაგინებელი მოსახლეობისა.

თუ დროზე არ მივხედეთ ჩვენ თავს, სხვისი, მით უფრო, დასავლეთის იმედზე ყოფნა, ამ საკითხში მაინც(!), თვითმკვლელობის ტოლფასია! გლობალისტების სურვილი ეროვნული სახელმწიფოების გაქრობისა ხომ დასავლეთიდან მოდის!

**მარტო მართლმადიდებლური ორგანიზაციების ჩამოყალიბება საკმარისი არ არის, საჭიროა, აუცილებელია ეკლესიის აქტიური ჩართვა პროცესებში,** და ეს არ იქნება ეკლესიის ჩარევა პოლიტიკაში (როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ!). დარწმუნებული ვარ, ეკლესიას ჩემზე ბევრად უკეთ აქვს გაცნობიერებული, თუ რა საშიშროების წინაშე ვდგევართ ყველანი, სწორედ ამიტომ მათ უნდა იქადაგონ ის და ისე, რომ მრევლი (მისი დიდი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში) გამოერკვეს საღათას ძილისგან და დაირაზმოს საკუთარი თავის, საკუთარი რწმენის, საკუთარი მეობის დასაცავად, ანუ იმის დასაცავად, რასაც ქართველი ერი ჰქვია!

არავინ იფიქროს, ვინმეს ჭკუას ვასწავლიდე, ჯერ ისე არ გავკადნიერებულვარ, ეკლესია დავარიგო. უბრალოდ მე, როგორც იტყვიან, „ჩემი მოკლე ჭკუით“ ასე ვხედავ ჩვენი გადარჩენის ერთადერთ გზას. **გადარჩენაში, ეროვნულ გადარჩენას, მართლმადიდებელ ქართველებად დარჩენას ვგულისხმობ, პირველ რიგში, და არა მხოლოდ წაგლეჯილი ტერიტორიების დაბრუნებას.**

**იაკობ ლეჟავა.**

◎ მკითხველთა თხოვნით

# გზა, რომელიც სიკეთეს მოუტანს საქართველოს

(მეშვიდე გვერდიდან)

დადებითი შეფასება მიეცა პირველი კონფერენციის მუშაობას და აღინიშნა ის დიდი ინტერესები აბრეშუმის გზის მიმართ, რომელიც გამოიჩინეს ევროპისა და აზიის მრავალმა ქვეყანამ, აგრეთვე ამერიკის და კანადის წარმომადგენლებმა.

1998 წლის სექტემბერში ბაქოში გაიმართა შეხვედრა,რომელშიც მონაწილეობა მიიღო 32-მა ქვეყანამ და 13-მა საერთაშორისო ორგანიზაციამ. გაიმართა სამიტი ტრასეკას ქვეყნების პრეზიდენტებისა და სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. ტრასეკას ხელშეკრულების ქვეყნები დღეს უკვე მოიცავენ მსოფლიო სივრცეს ამერიკიდან იაპონიამდე.

ბით, სახელმწიფოთა მასტაბილიზებელი ფაქტორის როლს ასრულებს, ხელს უწყობს აქ ახალი გეოსტრატეგიული ბალანსის, ტრასეკას ქვეყნების საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას, პროექტში ჩაბმულ სახელმწიფოთა ევროპული, დასავლური ორიენტაციის გაძლიერებას და მსოფლიო ეკონომიკაში მათს ნაყოფიერ ინტეგრირებას.

აღსანიშნავია, რომ ამიერკავკასიაზე გამავალი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საგზაო-სატრანსპორტო სისტემების ფორმირება-განვითარების გეგმების რეალობა და მასშტაბი ბევრადაა დამოკიდებული შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთის, ე.ი. საქართველოს სანაპიროზე არსებული თუ მომავალში ასაშენებელი ნავსადგურების




დიდი აბრეშუმის გზის რუკა

საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზნად დაისახა ტრასეკას დერეფნის სტატუსის გათანაბრება სწორედ სხვა პრიორიტეტულ დერეფნებთან.

ფაქტობრივად, ეს არის საქართველოს ტრანსპორტის ინტეგრაცია ევროპული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მისი აღიარება ევროპულ სატრანსპორტო სისტემის განუყოფელ ნაწილად.

საერთაშორისო კონფერენციებზე სოფიაში, თბილისში, კიევსა და სხვაგან ტრასეკას დერეფანი აღიარეს ევროპული სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. იგი ისეთი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაა, რომელიც მოიცავს საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო გზებს, რკინიგზას, საზღვაო ნავსადგურებს, კომბინირებულ და ინტერმოდალურ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურებს, სამგზავრო და სატვირთო ტერმინალებს და სხვა.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის აღორძინების მიზნით დაიდო არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, რომლებმაც დიდი ბიძგი მისცეს პროექტის განვითარებას. ტრასეკა აღიარეს ევროპული სატრანსპორტო დერეფნების, შავი ზღვის სატრანსპორტო არეალის, აზიის სახელმწიფოების სატრანსპორტო სისტემების დამაკავშირებელ სატრანსპორტო კომუნიკაციად.

ევრაზიის სატრანსპორტო და სავაჭრო დერეფანი არ არის შემოფარგლული მხოლოდ სატრანსპორტო და სავაჭრო ფუნქციით, იგი რეალურად, ევრაზიის პოსტსაბჭოურ სივრცეში აღორძინე-

მაქსიმალურად დასაშვები ტვირთგამტარიანობის თვისებრივ ოდენობასა და მათი ტექნიკური ექსპლუატაციის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ მაჩვენებელზე.

საქართველო დიდ იმედს ამყარებს ტრასეკაზე, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანზე, ახალი აბრეშუმის გზის აღორძინებაზე, კავკასია-ევრაზიის საერთო ბაზრის შექმნაზე.

ტრასეკა და კავკასია – ევრაზიის საერთო ბაზარი არის არა მხოლოდ გზა ახალი ეკონომიკისკენ, არამედ ეს არის გზა საერთაშორისო უშიშროებისა და სტაბილიზაციის ახალი ეტაპისკენ.

როგორც ცნობილია, დღეს საქართველოში საავტომობილო გზების მშენებლობა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად არის აღიარებული და არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო „ისტორიული აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთი მონაკვეთის (მცხეთა-გორი 16 კმ) მრავალზოლიანი ჩქაროსნული, ცემენტბეტონის საფარის მქონე გზატკეცილის სწრაფი ტემპით მშენებლობა.

ევროპა-კავკასია-აზიის საერთო ბაზრის გზა არის გზა ოცდამეერთე საუკუნისკენ, მესამე ათასწლეულისკენ, რომელიც აერთიანებს მსოფლიო ხალხებს, სხვადასხვა რელიგიის, ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს. ეს არის მომავლის გზა, რომელიც ასევე აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავლის გზას, რომელზეც უნდა ვიაროთ ჩვენი შთამომავლობის კეთილდღეობისთვის, ჩვენი სამშობლოს, საქართველოს სტაბილური მომავლისთვის.

◎ ერთი საღამოს ხიბლი

# ვიკინგები უმღერიან მზეს...

**ჩვენგან განსხვავებით, თუ რა დიდ პატივს სცემენ საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციას ვიკინგების შთამომავალნი, იქიდანაც ჩანს, 17 მაისს (კონსტიტუციის მიღების დღეს) განსაკუთრებით რომ აღნიშნავენ მთელს ნორვეგიაში, თანამემამულეებს არც საელჩოები ჩამორჩებიან სხვადასხვა ქვეყანაში.** მაგალითად, კავკასიაში ნორვეგიის სამეფოს საელჩომ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართა საზეიმო საღამო, რომელზეც თავიანთი მოქალაქეების გარდა, მოწვეული ჰყავდა ქართული პოლიტიკური სახელოვნებო ელიტაც (საღამოს ესწრებოდა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილიძ. ნორვეგიის სამეფოს ელჩმა კავკასიაში (საელჩო ბაქოში მდებარეობსძ ჯონ რამბერგმა ილაპარაკა თავისი ქვეყნის კონსტიტუციის მნიშვნელობაზე, ცხადია, არ დავიწყნია საქართველო -ნორვეგიის ურთიერთობანი, გაიხსენა დიდი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის მოგზაურობა საქართველოში, ისაუბრა ორი ქვეყნის დღევანდელ პარტნიორულ ურთიერთობებზე.

და, რაც დაიწყო, ამის შემდეგ დაიწყო: ქართული სასიმღერო ფოლკლორის სპეციალისტები თუ თაყვანისმცემლები კარგად იცნობენ, მართლაც ვიკინგების შთამომავალთ – ზორბა-ზორბა, პირღიმილიან, შესანიშნავი ხმების მქონე პეტერ სიმენსონსა და სვენ ვოგეს – ქართულ ხალხურ მელოდიებში „ჩამწვარ“ ახალგაზრდებს, ჩვენი სიმღერების შესწავლა, შეიძლება ითქვას, მთავარ საქმედ რომ გაიხადეს (სვენ ვოგე უკვე თბილისში ცხოვრობს და დისერტაციაც კი დაიცვა ქართულ ფოლკლორზეძ, ანსამბლ „ლაშარის“ წევრს ბექა სებისკვერაძეს დაუძმაკაცდნენ (ბექა ხშირად ჩადის ნორვეგიაში და იქ სკოლებში ასწავლის ქართულ სიმღერასძ, შექმნეს ანსამბლი „გიორგი“, აქვთ შესანიშნავი პროგრამა და უკვე კონცერტებს მართავენ ხან ნორვეგიაში, ხან საქართველოში. ახლახან კომპაქტდისკიც კი გამოსცეს ბიჭებმა.

ჰოდა, გამოგვეცხადნენ სცენაზე ჩოხებში გამოწყობილი ვიკინგები, შუაში ბექა სებისკვერაძე ჰყავდათ ჩაყენებული და შაუბერეს, რა შაუბერეს: „თუ ასე ტურფა იყავი“, „მოუხეთ ბატონებო“, „წინწყარო“, „მრავალჟამიერი“, „მივალ გურიაში“, „ცოლი გამიდიდგულდა“... რამდენიმე ნორვეგიული სიმღერაც მოუნაცვლეს, ხოლო „ლილე“ ისე დასჭექეს, ფეხზე დადგა, ტაშით „დაიქცა“ დარბაზი.

ბევრი ცრემლს იწმენდდა, რა გასაკვირია – მეც, მათ შორის.

**ვილენ მარდალეიშვილი.**



**სურათზე: გამოდის ანსამბლი „გიორგი“ – მარცხნიდან – პეტერ სიმენსონი, ბექა სებისკვერაძე, სვენ ვოგე.**

# სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) აქციონერთა მორიგი საერთო კრების ჩატარება განსაზღვრულია 2010 წლის 9 ივნისს, 15:00 საათზე. ბანკის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

1. ბანკის 2009 წლის აუდიტირებული შედეგების დამტკიცების შესახებ;
2. დირექტორატის ანგარიში ბანკის 2009 წლის საქმიანობის შესახებ;
3. ბატონები ირაკლი გილაურის და ნიკოლოზ ენუქიძის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან გასვლის შესახებ;
4. ბატონები ნილ ჯანინის, ალასდაირ ბრიჩის, ირკი თალვითიეს და ალან ჰირსტის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში არჩევის შესახებ;
5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ანაზღაურების დამტკიცება.

2010 წლის 9 ივნისის აქციონერთა მორიგი საერთო კრების დღის წესრიგთან დაკავშირებით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი აქციონერებს წარუდგენენ შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს „ერნსტ ენდ იანგის“ მიერ აუდიტირებული ბანკის 2009 წლის ფინანსური შედეგები.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს დირექტორატის ანგარიში ბანკის 2009 წლის საქმიანობის შესახებ.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

1. მიღებულ იქნას ბატონების - ირაკლი გილაურის და ნიკოლოზ ენუქიძის განცხადებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან მათი გამოსვლის შესახებ.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ბ-ნ ალან ჰირსტს სამეთვალყურეო საბჭოში წევრობის ვადა გაუგრძელდეს დამატებითი 4 წლით (2014 წლის აქციონერთა მორიგ საერთო კრებამდე);
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ბ-ნ ირკი თალვითიეს სამეთვალყურეო საბჭოში წევრობის ვადა გაუგრძელდეს დამატებითი 4 წლით (2014 წლის აქციონერთა მორიგ საერთო კრებამდე);
3. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნან ბ-ნი ნილ ჯანინი და ალასდაირ ბრიჩი 4 წლის ვადით (2014 წლის აქციონერთა მორიგ საერთო კრებამდე);

შენიშვნა 1: ბატონები ალან ჰირსტის და ირკი თალვითიეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ვადა იწურება 2010 წლის აქციონერთა მორიგ საერთო კრების თარიღიდან.

შენიშვნა 2: კენჭისყრა ჩატარდება სს ''საქართველოს ბანკის'' წესდების მუხლი 8.2-ს შესაბამისად

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

1. დამტკიცდეს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება შემდეგი ოდენობით:

ა. წლიური ანაზღაურება გადასახადების დაქვითვის შემდეგ:

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – 150,000 აშშ დოლარის ექვივალენტი
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე – 70,000 აშშ დოლარის ექვივალენტი
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი – 50,000 აშშ დოლარის ექვივალენტი

ბ. კომიტეტის წევრობის დამატებითი წლიური ანაზღაურება გადასახადების დაქვითვის შემდეგ:

- აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე – 20,000 აშშ დოლარის ექვივალენტი
- აუდიტის კომიტეტის წევრი – 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტი
- სხვა კომიტეტის თავმჯდომარე – 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტი
- სხვა კომიტეტის წევრი – 15,000 აშშ დოლარის ექვივალენტი
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ გადაეხდება დამატებითი ანაზღაურება კომიტეტის წევრობისათვის.

გ. ანაზღაურების გადახდა: ანაზღაურების გადახდა მოხდება კვარტალურად სს ''საქართველოს ბანკის'' აქციებით და/ან გლობალური დეპოზიტური ხელწერილებით საანგარიშო კვარტლის განმავლობაში არსებული საშუალო საბაზრო ღირებულებით.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრება გაიმართება სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი''-ს საკონფერენციო დარბაზ „ოდიშში'' შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0103, თელავის ქ. №20.

აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2010 წლის 9 ივნისს, 14:00 საათზე.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2010 წლის 6 მაისი.

**აქციონერთა საერთო წლიურ კრებაში მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას 2010 წლის 28 მაისიდან სს „საქართველოს ბანკის“ აქციების რეგისტრატორთან – სს „კავკასრეესტრი“ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი №74ა, თბილისი, საქართველო.**

სამბო



# მინსკიდან — 6 მედლით

**ბელარუსის დედაქალაქში დამთავრდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ფალავნებმა მინსკში 6 მედალი და გუნდური მე-3 ადგილი მოიპოვეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი უშანგი კუზანაშვილი (52 კგძ და სახელოვანი ძიუდოისტი — ათენის ოლიმპიადის მეორე პრიზიორი, ორგზის ევროპის ჩემპიონი და კონტინენტის ბრინჯაოს რვა მედლის მფლობელი ნესტორ ხერგიანი (62ძ.

მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმეს ლევან ნახუცრიშვილმა (68ძ, კახა მამულაშვილმა (74ძ, დავით კარბელაშვილმა (90ძ და მეორე ადგილებს დასჯერდნენ, ხოლო ამირან პაპინაშვილს (57ძ ბრინჯაო ხვდა.

კალათბურთი

# „საიდუმლო იარაღი“

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებმა — ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა სუპერლიგის ფინალური პლეიოფის მეორე მატჩი სტუმრად 84:75 მოუგეს ეროვნულ ჩემპიონატში აქამდე დაუმარცხებლად მოასპარეზე რუსთავის „ენერჯი ინვესტს“ და საერთო ანგარიში გაათანაბრეს — 1:1.**

სტუდენტთა გამარჯვებას წონას ის ფაქტი მატებს, რომ ამჯერად არ უთამაშია მათ ძირითად გამთამაშებელ გაფრინდაშვილს, ხოლო ბოლომდე ტრავმამოუშუშებელი ფანჩულიძე სარბიელზე მხოლოდ 2 წუთით გამოჩნდა.

დავძენთ, რომ აღნიშნულ ბრძოლაში სტუდენტთაგან საიდუმლო იარაღის როლი კუჭავამ შეასრულა (15 ქულაძ, რომელიც ძირითად დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებს.



* * *

გუშინ მესამე მატჩი რუსთაველებმა სტუმრად მოიგეს — 79:71 და დაწინაურდნენ — 2:1. ბრინჯაოს მედლები საუ-მ მოიპოვა, რომელმაც შსს-ს სძლია — 75:72.

ფეხბურთი

# შინ და გარეთ



**XXI ეროვნული ჩემპიონატი. XXXV ტური.** „გაგრა“ — „ცხინვალი“ 4:1, „ბაია“ — „ვიტ ჯორჯია“ 1:1, „ოლიმპი“ — „ზესტაფონი“ 3:1, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 0:3, „სამტრედია“ — „სიონი“ 2:1.

**სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ:** „ოლიმპი“ — 80, „დინამო“ — 71, „ზესტაფონი“ — 65, „ვიტ ჯორჯია“ — 61, „ცხინვალი“ — 40, „სამტრედია“ — 37, „სიონი“ — 35, „ბაია“ — 32, „ლოკომოტივი“ — 26, „გაგრა“ — 24 ქულა.

* * *

**იტალია. ბოლო ტური.** „სიენა“ — „ინტერი“ 0:1, „კიევო“ — „რომა“ 0:2, „ინტერი“ ჩემპიონია!

**ესპანეთი. ბოლო ტური.** „ბარსელონა“ — „ვალიადოლიდი“ 4:0, „მალაგა“ — „რეალი“ 1:1. „ბარსელონა“ ჩემპიონია!

**ინგლისი. თასის ფინალი.** „ჩელსი“ — პორტსმუთი“ 1:0.

**გერმანია. თასის ფინალი.** „ბაიერნი“ — „ვერდერი“ 4:0.

მძლეოსნობა

# რბენის დღეს მიეძღვნა

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 100-ზე მეტი გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა შეჯიბრებაში, რომელიც რბენის დღეს მიეძღვნა. ახალგაზრდა მძლეოსნები ორ ასაკში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:**

**1995-1996 წლებში დაბადებულნი: 80 მ. რბენა.** სოფიო ჩალაშვილი და ნიკა ლუკავა (ორივე — თბილისიძ, **150 მ.** სალომე სირაძე (ქუთაისიძ და ნიკა ლუკავა, **1000 მ.** თინათინ პაპუაშვილი (ბორჯომიძ და ნიკა კაჟაევი (თბილისიძ.

**1993-1994 წლებში დაბადებულნი: 100 მ.** სალომე სირაძე (ქუთაისიძ და ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუძ, **200 მ.** ლიკა ლოლუა (ფოთიძ და ბაჩანა ხორავა, **400 მ.** სოფიო ჩილინგარაშვილი (ახალციხეძ და ნიკა რურუა (აბაშაძ, **800 მ.** თინათინ პაპუაშვილი და არმენ სტეფანიანი (ორივე — ბორჯომიძ, **1500 მ.** ანიჩკა მურადიანი (ახალციხეძ და გიორგი ლომიძე (თბილისიძ, **ბირთვი.** ხატია ხურცია (ხონიძ და გიორგი გოგოლაშვილი (ოზურგეთიძ, **სიგრძეზე ხტომა.** თათია პაიკიძე (ვანიძ და შოთა ზოიძე (ოზურგეთიძ. **შუბი.** ხატია ხურცია (ხონიძ და შოთა იმედაძე (თბილისიძ.



წყალბურთი

# აღდგენილი „ოლიმპიკი“ უმასპინძლებს

**თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ამოქმედდა რეკონსტრუირებული საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი“, რომლის 50-მეტრიანი საცურაო აუზი 19 მაისიდან წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ დონის შეჯიბრება ჩვენთან ორი ათეული წელიწადია, არ გამართულა.**

საქართველოს დედაქალაქში პირველობისთვის დიდი ბრიტანეთის, უკრაინისა და ბელარუსის გუნდები იასპარეზებენ. ჩვენი ქვეყნის ნაკრები ტურნირზე ასეთი შემადგენლობით წარსდგება: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, ვლადიმირ მარკოვიჩი, კოტე გეგელაშვილი, ზურაბ რურუა, გიორგი ხვედელიანი, ტატო ნიკოლეიშვილი, სანდრო ნამორაძე, ბექა ქავთარაძე, მიხეილ ბალათურია. ნაკრების მთავარი მწვრთნელია ზვიად დავითიანი. სამდღიანი ტურნირის განრიგი კი ასეთია:



**19 მაისი. 17.00.** უკრაინა — დიდი ბრიტანეთი, **19.00** საქართველო — ბელარუსი.

**20 მაისი. 18.00.** დიდი ბრიტანეთი — ბელარუსი, **19.30** საქართველო — უკრაინა.

**21 მაისი. 18.00.** უკრაინა — ბელარუსი, **19.30.** საქართველო — დიდი ბრიტანეთი.

# ოლიმპზე დაბრუნდნენ

**იტალიის „პრო რეკომ“ უკანასკნელ ოთხ წელიწადში მესამედ მოიგო ევროლიგა. როდრიგო პონცის გუნდმა მშობლიურ ნეაპოლის აუზში ფინალურ მატჩში შარშანდელ ტრიუმფატორთან ჩერნოგორიის „პრიმორაცთან“ აილო ლირსეული რევანში — 9:3.**

აღსანიშნავია, რომ პირველ პერიოდში ბალკანელებმა იმძლავრეს — 2:0, დიდ შესვენებაზე მეტოქენი თანაბარი მონაგარით გავიდნენ — 3:3, ხოლო მეორე ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა. ყოფილ თანამემამულეთა რბევაში დიდი წვლილი უდოვიჩიჩმა (5 გოლიძ და ფილიპოვიჩმა (3 გოლიძ შეიტანეს, ესპანელმა მოლინამ კი პარტნიორებს კიდევ ერთი ზუსტი ტყორცნა შეაშველა. დავსძენთ, რომ სტუმართა ცოცხალმა ლეგენდამ, უნგრელმა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კიშმა მხოლოდ ერთხელ დალაშქრა ტამპესტის კარი.

სანთელი

# ბაჩო სვანიძე



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 30 წლის ასაკში გარდაიცვალა „სარბიელის“ სკოლაგავლილი ჩვენი ძვირფასი კოლეგა ბაჩო სვანიძე და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**ბოჰემური ცხოვრების ტრფიალი ჭაბუკობიდანვე სარაგბო თემს დაუახლოვდა და თავის დროზე პარტნიორებთან ერთად მოიგო თანატოლთა ტურნირები ქვიშაზე (ბათუმიძ და თოვლზე (ბაკურიანიძ რაგბიში.**

**ეტყობა, სპორტის ყველაზე ვაჟკაცურ სახეობაში წრთობამ მის პიროვნულ თვისებებზეც მოახდინა სასიკეთო გავლენა, რაც მოგვიანებით მისივე მადლიანი კალმით შექმნილ პუბლიკაციებში დადასტურდა, სხვადასხვა პრობლემატურ და მანკიერ საკითხებს რომ ეძღვნებოდა.**

**ორი ქალიშვილი, უამრავი ტკბილი მოსაგონარი და შეუხორცებელი იარა დაგვიტოვა ბაჩო სვანიძემ.**

**მის ნათელ ხსოვნას ყოველთვის სათანადო პატივს მიაგებს ჟურნალისტთა საძმო.**

**„სრ“ სპორტის რედაქცია**

ინტერნეტიდან

## სარბენი ბილიკიდან — კალათბურთში

**სირბილში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი მერიონ ჯონსი, ჯილდოები რომ ჩამოართვეს სტეროიდების გამოყენებისთვის, ისევ დაუბრუნდა დიდ სპორტს, თუმცა ამჯერად ქალთა კალათბურთს, მისი დებიუტი შედგა ქალთა ნბაში, კლუბში „ტუპსა“.**

მისი გუნდი დამარცხდა „მინესოტა ლინკსთან“ ანგარიშით 74:80. ჯონსმა მოედანზე 3 წუთი და 19 წამი დაჰყო, თუმცა თავი დიდად არ გამოუჩენია, მისი სარგებლიანობის მაჩვენებელი კი მხოლოდ „4“ იყო.



„ვიცი, რომ ხალხი ჩემგან მეტს მოელის. ისინი ფიქრობენ, რადგან მოედანზე გამოვედი, იქ 40 წუთი უნდა გავატარო. თუმცა ერთბაშად არაფერი ხდება. ჩემი პარტნიორები გაცილებით გამოცდილები არიან ჩემზე და მე მათგან ვსწავლობ თამაშის საიდუმლოებებს“, — თქვა ჯონსმა.

## ჟიზელი ისევ პირველია

**ბრაზილიელი სუპერმოდელი და ამერიკული ფეხბურთის მოთამაშის ტომ ბრეიდის ცოლი ჟიზელ ბუნდხენი, ამას წინათ დედა რომ გახდა, ისევ სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „ფორბსის“ რეიტინგს — ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელთა სიას.**



როგორც ჟურნალი გვაცნობებს, ჟიზელმა შარშანდელი ივნისიდან წლევანდელ გაზაფხულამდე გამოიმუშავა 25 მილიონი დოლარი. უკან მოიტოვა რა გერმანელი ჰაიდი კლუმი (16 მილიონიძ და ბრიტანელი კეიტ მოსი (9 მილიონიძ.

რაც მთავარია, ამ ლამაზმან და მდიდარ მოდელთა შორის ის ერთადერთი ბრაზილიელია.

◎ ფესტივალი

# თუ არ გინდა ისევ 5, შემოხაზე... 25

**„გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, „მოვდივარ საქმით, გპირდებით საქმეს“, „ჩვენ შევცვლით“, „დასაქმება და დაბალი ტარიფები“, „ბრძოლა დღესვე“, „საქმემან შენმა წარმოგაჩინოს“, „თბილისი ჩემი სახლია“ და კიდევ სხვა მრავალი სლოგანი, რომლებითაც წინასაარჩევნოდ, მერობისა და მაჟორიტაროვის კანდიდატები ამომრჩეველს თავს აწონებენ, სულ უფრო აქტუალური ხდება.** სლოგანებისა და პლაკატების შესაფერის საქმეს თუ მართლა აკეთებენ ან უახლოეს მომავალში გააკეთებენ, ამას ამომრჩეველი შეაფასებს. ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ნებისმიერი ცენტრალური თუ მიყრუებული ქუჩა სწორედ ამ წინასაარჩევნო პლაკატებით და სლოგანებით არის გადაჭრელებული. მერობის კანდიდატები პლაკატების ზომასა და ხარისხზე ფულსაც არ ზოგავენ. აშკარაა, რომ ერთმანეთში სლოგანებითაც კი პაექრობენ. არჩევნებში მონაწილე კანდიდატები წინასაარჩევნოდ წაახალისეს და „თბილისი-მარიოტში“ მათი სლოგანებისა და პლაკატების ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალი „აირჩიე თბილისის მომავალი“ საქართველოში პირველად ჩატარდა და მასში მონაწილეობა ცხრა კანდიდატს უნდა მიეღო, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო ფესტივალს ორი კანდიდატი – გიორგი ლაღიძე და დავით იაკობიძე გამოეთიშა. შვიდი კანდიდატი – გოგი თოფაძე, გიგი უგულავა, ზვიად ძიძიგური, ირაკლი ალასანია, ნიკა ივანიშვილი, გიორგი ჭანტურია და თამაზ ვაშაძე იმ ნომინაციებში იბრძოდნენ, რომლებიც ფესტივალის ორგანიზატორებმა დააწესეს. გამარჯვებულები კი ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც მარიკა დარჩია, ლალი მოროშკინა, ანდრო ბარნოვი, გიორგი შარაშიძე და კოტე ჭავჭავიძე იყვნენ.

ფესტივალზე თითოეულ კანდიდატს წარმოდგენილი ჰქონდა საგამოფენო სტენდი, რომელზეც კანდიდატების საარჩევნო პლაკატები იყო თავისივე სლოგანით. ასევე წარმოდგენილი იყო კანდიდატის არაპოლიტიკური ინტერესების, ოჯახთან და ტრადიციებთან დამოკიდებულების უკეთ წარმოსაჩენად, არაფორმალურ სიტუაციაში გადაღებული 5 ფოტო. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა განაცხადა, ამ სტენდისა და სლოგანისთვის ბევრი არ გვიფიქრიაო. ეს წინადადება, როგორც ჩანს, ჟიურიმ გაითვალისწინა და მას „ყველაზე დამაჯერებელი პლაკატი-სლოგანის“ ნომინაცია მიანიჭა. ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და სლოგანი „მოვდივარ საქმით, გპირდებით საქმეს“ „ყველაზე საქმიან სლოგან-პლაკატად“ აღიარა. „ყველაზე კრეატიული სლოგანი-პლაკატი“ ქრისტიან-დემოკრატებმა მოირგეს (გაზი 10 თეთრი, დენი 5 თეთრი, წყალი უფასო...). „ყველაზე ლაკონური სლოგანი-პლაკატი“ ირაკლი ალასანიას შეხვდა („ჩვენ შევცვლით“)... „ყველაზე ემოციური სლოგანი-პლაკატი“ ორ კანდიდატს ზვიად ძიძიგურს („ბრძოლა დღესვე“) და ნიკა ივანიშვილს („თბილისი ჩემი სახლია“) ერგო, მაგრამ, რადგან ზვიად ძიძიგური, ასევე დარბაზის სიმპათია გახდა, მან თავისი ნომინაცია ივანიშვილს უსახსოვრა. აღსანიშნავია, რომ ზვიად ძიძიგურს კიდევ ერთი მხარდამჭერი ჰყავს, იგი ფესტივალზე, არც მეტი არც ნაკლები, მაკა ასათიანთან ერთად გამოცხადდა. კითხვაზე, რა სტატუსით მოვიდა მაკა ასათიანი ძიძიგურთან ერთად ფესტივალზე, კომენტარისგან თავი შეიკავა. თუმცა, როგორც ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები ამბობენ, ის მხოლოდ მათი მხარდამჭერია. ფესტივალს ორი მთავარი პრიზი კომპანიამ „outoor.ge“ დააწესა. მან დედაქალაქის ცენტრალურ უბანში განთავსებული ორი ბილბორდი კანდიდატებისთვის ლოტოტრონით გაათამაშა. პრიზები გადასცეს აგრეთვე „ბიბლუსმა“, „საფილომ“, „ქინძმარაულის მარანმა“ და „კამეომ“ და დიზაინერმა ეკა აბესაძემ. დიზაინერმა თავისი საჩუქარი თოფაძეს უსახსოვრა. ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ლალი მოროშკინამ საკუთარი წიგნი „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“ ორ კანდიდატს ძიძიგურსა და ალასანიას გადასცა.

**ხატია მუსერიძე**

ხსოვნა

# ვასილ ჩალაძე

97 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ათეული წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის და იქ განლაგებული მძიმე მრეწველობის ობიექტების მშენებლობის პირველი პარტიული ხელმძღვანელი, რუსთავის საპატიო მოქალაქე ვასილ დიანოსის ძე ჩალაძე.

დაიბადა 1913 წელს ონის რაიონის სოფ. ნაკიეთში გლეხის ოჯახში.

ვინც ახლოს იცნობდა ბატონ ვასილ ჩალაძის მიერ განვლილ გზას, მის ხანგრძლივ მოღვაწეობას სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ იგი ჩვენი ქვეყნის იმ გამორჩეული მუშაკების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს ქვეყნის ინდუსტრიული ბაზის შექმნისა და განვითარების საქმეში, რის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივა.



დედაქალაქში რაჭიდან ჩამოსული ჭაბუკი 1938 წელს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს, უნივერსიტეტის რექტორატის მიერ ახალგაზრდა ისტორიკოსი ამავე ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ ინიშნება. ეს მისი ნიჭიერების პირველი გამოსხივება იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით იგი 1939 წელს მოსკოვში იგზავნება უმაღლეს პარტიულ სკოლაში სასწავლებლად. სკოლას ამთავრებს დიდი სამამულო ომის დაწყების წინა დღეს – 1941 წლის 21 ივნისს. მეორე დღესვე კურსდამთავრებულებთან ერთად იცვამს სამხედრო ფარაჯას და 1942 წლის ივლისამდე კარელიის ფრონტზე ერკინება გერმანელ ფაშისტებს.

1942 წლის ივლისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით კარელიის ფრონტიდან იგი გადმოჰყავთ ამიერკავკასიის ფრონტის განკარგულებაში ახალჩამოყალიბებულ ქართულ სამხედრო შენაერთებში, სადაც მონაწილეობს გააფთრებულ ბრძოლებში ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორის, პოლკის კომისრის, პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობებზე.

ეს დღეები, ეს ბრძოლები, ეს ფრონტული ჭირვარამი მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია, ის წლებია, რომლის დროსაც გამოვლინდა მისი მხედრული აზროვნების, უტეხი სულის, შემართების, წინააღმდეგობათა ძლევის ვაჟკაცური თვისებები.

დამთავრდა დიდი სამამულო ომი. როგორც ცნობილია, რუსთავის ველზე დაიწყო ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატისა და ქიმიური ქარხნის მშენებლობა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით სხვა მუშაკებთან ერთად აღნიშნულ მშენებლობაზე 1946 წელს გაიგზავნა ომგადახდილი ვასილ ჩალაძე, სადაც მან იმუშავა 11 წელზე მეტი, ჯერ რუსთავის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, 1951 წელს ქალაქკომის მეორე მდივნად, ხოლო 1952 წლიდან 1957 წლამდე პირველ მდივნად.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთავის ამ ტრიალ, უკაცრიელ ველზე დაწყებული მშენებლობების ორგანიზაციას პირველი დღიდანვე, სხვა ომგადახდილებთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ვასილ ჩალაძე, მას წილად ხვდა თერთმეტი წლის განმავლობაში ყოფილიყო ამ უდიდესი მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

მალე ვასილ ჩალაძე დაწინაურებული იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხსაგებ თანამდებობაზე. ერთხანს იმუშავა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, ხოლო ათეული წლების განმავლობაში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად, სადაც დედაქალაქის მშრომელების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. შემდეგ, დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე კვლავინდებური შემართებით უძღვებოდა დედაქალაქის ვეტერანთა საბჭოს მეტად საპატიო საქმიანობას.

ძნელია ერთ საგაზეთო წერილში წარმოაჩინო ის შრომა და ღვაწლი, რაც ბატონმა ვასომ გასწია ათეული წლების განმავლობაში სამშობლოს, მეგობრების და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ, რისთვისაც არაერთხელ იყო არჩეული ცენტრალური პარტიული ორგანოების შემადგენლობაში და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი დაჯილდოებულია სახელმწიფო ორდენებით, სხვადასხვა სახის ჯილდოებით, წოდებებით და საპატიო სიგელებით.

განსაკუთრებით დიდია დამსახურება რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური კომბინატების განვითარების საქმეში, როგორც ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელისა, რაც ოქროს ასოებითაა აღბეჭდილი ქალაქ რუსთავის ისტორიაში. ამიტომაც სამართლიანად მიენიჭა მას რუსთავის საპატიო მოქალაქის წოდება.

ბატონ ვასილ ჩალაძემ თავისი უმწიკვლო ცხოვრების ყველა საფეხურზე პრაქტიკულად დაამტკიცა, თუ რას ნიშნავს იყო ბრწყინვალე მოქალაქე და უზადო ხელმძღვანელი, გონიერი და პრინციპული საზოგადო მოღვაწე. ამასთან, მან შექმნა სანიმუშო ოჯახი, სამშობლოს გაუზარდა ღირსეული შვილები და შვილიშვილები, რომლებიც მამისეული შემართებით ჩაბმული არიან საზოგადოებრივ საქმიანობაში, უდიდესი ტკივილით განიცდიან საყვარელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას და მის კოლეგებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად არასდროს დაივიწყებენ მის სახელს, როგორც ღირსეული მამულიშვილის და ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწის.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

ე. შევარდნაძე, თ. მენთეშაშვილი, კ. გარდაფხაძე, გ. ხაზარაძე, თ. ხაზარაძე, ბ. სარალიძე, თ. იმედაძე, გ. გვეტაძე, მ. მდინარაძე, ელ. კუპატაძე, ვ. ჯაფარიძე, რ. ნაცარიშვილი, ბ. კარტოზია, უ. შერმაზანაშვილი, დ. იაკობაშვილი, ალ. ვაშაკიძე, ვ. რეკვავა, ზ. ჯოხარიძე, გ. ხუციშვილი, ო. დალაქიშვილი

---

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოში ვეტერანთა მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ათეული წლების მანძილზე დედაქალაქის ვეტერანთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ვასილ ჩალაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გიორგი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, სახელოვანი მამულიშვილის

ვასილ ჩალაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქე, ვეტერანული მოძრაობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ქ. თბილისის ვეტერანთა ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე

ვასილ დიანოზის ძე
ჩალაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## ა უ ქ ც ი ო ნ ი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე II ლოტად.**

**I ლოტი:** ქ. მცხეთაში, აღმაშენებლის ქ. №1-ში მდებარე 92.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: №72.07.07.730).

**II ლოტი:** ქ. მცხეთაში. აღმაშენებლის ქ. №1-ში მდებარე 191.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი; №72.07.07.732).

**ზემოთ მითითებული მიწის ნაკვეთების საწყისი გასაყიდი ფასია: 1 კვ.მ 60 (სამოცი) ლარი.**

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს**

**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73.□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს “ბე”-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

**„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415**

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№73. ტელ 8(27-32) 51-27-27, 899 22-65-33, 899 34-50-85.**

*მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.*

P.S. **ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებს არ გააჩნია მისასვლელი გზა და სხვა მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს სერვიტუტით უძრავი ქონების მესაკუთრესთან შეთანხმებით.**

რეკლამა

*„საქართველოს რესპუბლიკაში“*

99-62-77;

899 32-85-76.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ზურაბ გოგიჩაიშვილს დედის

დონარა ლაჩაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მოძრაობა „სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა“ ღრმა გულისტკივილით იუწყება, რომ ბატონ ლორიკ მარშანიას გარდაეცვალა მეუღლე

მერი გუგუშვილი-მარშანია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის დიდ ოჯახს. პანაშვიდი 20, 21 V, 17 სთ. მისამართი: ს. ხაბეიშვილის №75 (ვაკის საცურაო აუზთან), გამოსვენება 22 V, 15 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან.

მოძრაობის საბჭოს სახელით
მურად ანჯაფარიძე, ალუ გამახარია

### მეოთხე საერთაშორისო

# ნორჩი მეცნიერები და გამომგონებლები დააჯილდოვეს

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო, რიგით მეოთხე ოლიმპიადის ფინალისტთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. კონკურსი VI–XII კლასების მოსწავლეებს შორის ორ ეტაპად ჩატარდა, 33 ქვეყანაში ადგილზე შეირჩა საუკეთესო ნამუშევრები, რომლებიც უკვე საქართველოში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე შეფასდა. სულ წარმოდგენილი იყო 125 პროექტი. გამარჯვებულებს გადაეცათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. ხოლო ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში 7 გამარჯვებულს ლეპტოპები უსახსოვრა.**



კონკურსის ყველა მონაწილე ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ დაწესებული სხვადასხვა პრიზით დაჯილდოვდა. ორგანიზატორებს შორის იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი,“ ევროკავშირი-ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში და კომპანია „ჯეოსელი.“

მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილმა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ინფორმატიკის, სამრეწველო და ტექნიკის, ეკოლოგიის სფეროებში მომზადებულმა პროექტებმა შემფასებელთა მოწონება დაიმსახურა.

განათლების მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წახალისება – დაინტერესდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგით და აწარმოონ კვლევითი და გამომგონებლობითი საქმიანობა. „ოლიმპიადა ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. უპირველესად, საინტერესო იყო ბავშვებისათვის, მათ კონკურენციის პირობებში გამოავლინეს ცოდნა. ამ კონკურენციით სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო ხდება. ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებულების დაჯილდოება მხვდა წილად,“ – აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა.

ზვიდ სეხნიაშვილი კმაყოფილია ოლიმპიადაში მონაწილეობით. მან მზის ენერგიაზე მომუშავე ძრავა წარმოადგინა. ხოლო ეკატერინე მუჯირიშვილმა აღნიშნა, რომ ახალ გზას მიაგნო ქიმიაში ალცგეიმერისა და პარკინსონის დაავადებათა განკურნებისთვის. ამ გამოგონებას დიდი პერსპექტივა აქვს, რომ პრაქტიკაში განხორციელდესო. მარიამ ნარიმანიძემ არქიმედეს წყლის საქაჩი ხრახნი წარმოადგინა, გიორგი ქარქაშაძემ კი – პნევმატური ჯავშანი. აჰმად ფარჰანის პროექტი საინტერესოა იმით, რომ გულისხმობს მანქანის აწყობას მაგნიტის საშუალებით. „ესაა კომპლექსურ ძრავზე დაფუძნებული მოდელი და მან საშუალოდ 3 პროცენტით უნდა შეამციროს ავტომობილის მიერ საწვავის მოხმარება,“ – გვითხრა მან.

ასე რომ, მეოთხე საერთაშორისო ოლიმპიადაც საინტერესოდ წარიმართა, დემირელის სკოლის კოლეჯის დირექტორის მეჰმედ ფალას თქმით, ჩამოსული მოსწავლეები ქართულ ოჯახებში ცხოვრობდნენ და გაეცნენ აქაურ ტრადიციებს. ამიტომ ეს მხოლოდ ოლიმპიადა კი არ იყო, არამედ კულტურული ურთიერთობაცო, დასძინა მან.

**ნატა ნიბლაძე**

### დღის კალენდარი

## 18 მაისი

**დიდმოწამისა ირინესი (I–IIს; დღესასწაული ღვთისმშობლის ხატისა „ბარძიმი შეუსმელი“ (1878ს; მოწამისა საგდუსტ ქალწულისა.**



**ამოდის 04.39**
**ჩადის 19.17**



**ამოდის 08.28**
**ჩადის 23.31**

## დაიბადნენ:

**1048 – ომარ ჰაიამი,** ტაჯიკი პოეტი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1131 წელს.

**1814 – მიხაილ ბაკუნინი,** რუსი რევოლუციონერ-ანარქისტი.

**1868 – ნიკოლოზ II,** რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, ლენინის ბრძანებით მის ოჯახთან ერთად დახვრიტეს 1918 წელს.

**1872 – ბერტრან რასელი,** ინგლისელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1920 – კაროლ ვოიტილა,** რომის პაპი იოანე პავლე II, პოლონელი თეოლოგი, ფილოსოფოსი, პოეტი, დრამატურგი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**1935 – ჯემალ ჭკუასელი,** მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერის მოამაგე, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი.

**1938 – გურამ ბათიაშვილი,** მწერალი.

## გარდაიცვალნენ:

**1799 – პიერ ოგიუსტენ კარონ დე ბომარშე,** ფრანგი დრამატურგი.

**1803 – იოჰან გოტფრიდ ფონ ჰერდერი,** გერმანელი ფილოსოფოსი, კრიტიკოსი და პოეტი.

**1911 – გუსტავ მალერი,** ავსტრიელი კომპოზიტორი.

**1981 – უილიამ საროიანი**, ამერიკელი მწერალი.

## მოვლენები:

**1642** – დაარსდა მონრეალი.

**1936** – დაიწყო ესპანეთის სამოქალაქო ომი.

**1951** – გაეროს შტაბ-ბინა ლონგ-აილენდიდან მანჰეტენზე გადავიდა.

**1969** – გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-10“ – ეს იყო ამერიკელების გენერალური რეპეტიცია მთვარეზე ადამიანის გადასვლამდე.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მუზეუმის საერთაშორისო დღე.**

**აშშ** – შეიარაღებული ძალების დღე.

**თურქმენეთი** – აღორძინებისა და ერთიანობის დღე.

**ჰაიტი** – დროშის დღე.

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +26 |
| ქუთაისი. | +18 – +29 |
| ბათუმი. | +14 – +24 |
| ზუგდიდი. | +16 – +26 |
| თელავი. | +14 – +24 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.2461 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6357 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9743 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5803 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2199 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2507 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1742 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6127 ლარი |



## განცხადება

2010 წლის 18 ივნისს დღის 12 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება თბილისის „ცენტროლიტის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2009 წლის წლიური ანგარიში;
2. 2010 წლისთვის აუდიტის არჩევა;
3. სხვადასხვა.

**მისამართი:** თბილისი ანდრონიკაშვილის ქ. №29 კრების საალრიცხვო დღედ გამოცხადებულია 2010 წლის 18 ივნისი.

**სამეთვალყურეო საბჭო**

### კადრი



### განცხადება

ვისაც კომფორტულ აგარაკზე ცხოვრება გიყვართ, დარეკეთ 899 16 93 57. აგარაკი სოფელ ტაბახმელაშია, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ნახვა. ფასი შეთანხმებით.

### ანეკდოტები

– რატომ ხარ ასე მოწყენილი? – ეკითხება ნატაშას დაქალი.

– ჩემმა სასიკვდილემ დაქორწინებამდე მითხრა, მილიონებს ვატრიალებო.

– მერე მოუტყუებიხარ?

– არ მოვუტყუებივარ, მაგრამ თურმე ზარაფხანის მტვირთავი ყოფილა!

* * *



– გამარჯობა, მიხო, როდის დამიბრუნებ ვალს? – ეკითხება ძმაკაცი.

– მალე, დათას ხელით გამოგიგზავნი.

– დათას ნუ გამოატან, მე თვითონ მაქვს მისი ვალი.

* * *

ნამდვილი მეგობარი დასახმარებლად მოვა არა მხოლოდ მაშინ, როცა ეს გჭირდება, არამედ მაშინაც, როცა დახმარება არ გჭირდება, და მაშინაც კი, როცა ამ დახმარების კატეგორიული წინააღმდეგი ხარ.

* * *

რუსები ყველაზე მშვიდობიანი ხალხია. ისინი მუდამ მშვიდობისთვის იბრძოდნენ. და ეს მშვიდობა აუცილებლად მოვა, როდესაც რუსები ამოწყვეტენ ყველას, რომელთაც მშვიდობა არ სურთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.